ყოველდღიური გაზეთი
# ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge
ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2022 №117 (8895) ფასი: 80 თეთრი

## გრიგოლ ვაშაძე: „სააკაშვილს გადასხმები აღარ შველის“





გვ.3

# „სალომე ზურაბიშვილმა „ოცნებას“ ბიძინასთან შეთანხმებით დაარტყა“



გვ.2

მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ ორად გაყო, დასავლური მიმართულება სალომეს ჩააბარა, ხოლო პრორუსულ-პრობიძინური – კობახიძეს“

„თუ ეს სტატუსი ვერ მივიღეთ, ძალიან ბევრი სიკეთე დაიკარგება, იგივე უვიზო მიმოსვლა, სავაჭრო ხელშეკრულება. ამ ყველაფრის მოშლა ძალიან მძიმე განაჩენი იქნება და მაშინ გამოცვივდება ხალხი ქუჩაში“



## „თუ სტატუსი არ მოგვცეს, ივანიშვილი ვიღაცას გაწირავს“



გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „სალომე ზურაბიშვილი ცდილობს, ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს“



## ხუნდაძე: „განცხადების რეკომენდაცია ბიძინა ივანიშვილისგან არ მიმიღია“

გვ.3

## ირაკლი კობახიძე: „ეკა გიგაური 20 წელია ბრეჟნევივით არის“



## „არავის ვეხვეწებით და არ ვმათხოვრობთ. ჩვენ ევროპაში ეს ადგილი გვეკუთვნის“



გვ.4

ზურაბ ქადაგიძე: „რეზოლუცია მთელი რიგი უზუსტობებითაა სავსე“



გვ.4

უესლი კლარკი: „რუსეთის აგრესიის შესაკავებლად აუცილებელია ნატოს ძალების პირდაპირი ჩარევა“

## ომი კრიტიკულ სტადიაში შევიდა

199323072 0223

5 საფრანგეთში ქართველი დედა და 2 მცირეწლოვანი შვილი სახლში დაიწვნენ

6 აშშ: „შესაძლებელია აღიკვეთოს „მაიმუნის ყვავილის“ გავრცელების პანდემიად გადაქცევა“

5 რუსთავში 20 წლის გოგონა სექსუალურად შეავიწროვეს

6 რომის პაპი: „ნუ შევეჩვევით ცხოვრებას ისე, თითქოს ომი შორეული რამ იყოს“

# „სალომე ზურაბიშვილმა „ოცნებას“ ბიძინასთან შეთანხმებით დაარტყა“

## მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ ორად გაყო, დასავლური მიმართულება სალომეს ჩააბარა, ხოლო პრორუსულ-პრობიძინური — კობახიძეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი ელჩი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***— ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? კანდიდატის სტატუსის მიღების წინ სრული ისტერიაა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. რას იტყვით პრეზიდენტის გუშინდელ ბრიფინგზე, იქ გაკეთებულ განცხადებებზე და შემდეგ „ოცნების“ საპასუხო განცხადებაზე? ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ სალომე ზურაბიშვილის ბრიფინგი მიმართული იყო კანდიდატის სტატუსის მიღების წინააღმდეგ. რა ხდება რეალურად?***

— ძალიან ცუდი ტენდენციებია, დაპირისპირებაა იმ ადამიანებს შორის, რომლებიც თითქოსდა თავგადაკლული საერთო საქმის მკეთებლები იყვნენ. მე მახსოვს, როგორ იცავდნენ სალომე ზურაბიშვილს. ახლა აღმოჩნდა, რომ თურმე პრორუსი და ადრე პროევროპელი იყო! ეს სიტუაცია, რომელიც ახლა საქართველოშია, მაჩვენებელია იმისა, რანი ვართ ჩვენ ყველა. მოსახლეობას ვგულისხმობ. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე. ჩვენ ვართ რაღაცნაირად გაყოფილი, გახლეჩილი ერი და ამით სარგებლობს ის ერთი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი.

***— იმის ნაცვლად, რომ ამ კონკრეტული საკითხის ირგვლივ მაინც მომხდარიყო ერთობა, რომელსაც კანდიდატის სტატუსი ჰქვია, სულ უფრო და უფრო ღრმავდება პოლარიზაცია. რა ხდება?***

— კი ბატონო, ნამდვილად გასაოცარი ამბავია. სალომე ზურაბიშვილი 16-ში იწვევს აქციას, მეორე ფლანგი — 20-ში. არის ჩხუბი, დაპირისპირება, არა, ამ აქციაზე არ მიხვიდე, მეორეზე მოდი და ასე შემდეგ. ძალიან ცუდი საყურებელია ეს ყველაფერი. რაც მთავარია, სალომე ზურაბიშვილისგან იყო გაუგებარი, არ მიხვიდეთ 20-შიო.

***— რატომ დაარტყა ზურაბიშვილმა 20 ივნისის აქციას?***

— ძალიან ცუდი გზავნილი იყო. მე პირადად ორივე აქციაზე მისვლას ვაპირებ. ჩემი მოქალაქეობრივი ვალი უნდა მოვიხადო და ჩემი პოზიცია დავაფიქსირო. აბსოლუტურად არანაირი კავშირი პოლიტიკური თვალსაზრისით ამას არა აქვს. მოვისმინეთ განცხადებები, რომ დღეს ელჩები აპირებენ მისვლას სალომეს ორგანიზებულ აქციაზე. წესით, ევროპის ყველა ელჩი მივა. პირველ რიგში ჰარცერი უნდა მივიდეს. დარწმუნებული ვარ, მივა კიდევაც. ეს მაჩვენებელი იქნება იმისა, რომ ევროპა დადებითაა განწყობილი ჩვენ მიმართ.

***— რატომ ჩათვალა „ქართულმა ოცნებამ“, რომ სალომე ზურაბიშვილი ამ ყველაფრით საქმეს აფუჭებს?***

— იმიტომ, რომ მათ დაარტყა და უთხრა, თქვენ გააფუჭეთ საქმეო! მე სალომეს ფანი რომ არა ვარ, კი იცით, მაგრამ, ამ შემთხვევაში, სრულიად დასაბუთებულად თქვა, რომ საქმე გაფუჭებულია ევროკავშირში და, რა თქმა უნდა, ამაზე პასუხისმგებელი მთავრობა და მთავრობის მიერ არჩეული ხალხი იყო, რომლებსაც უნდა ეკეთებინათ საქმე, მაგრამ არ გააკეთეს. გამოთქმები იყო კატეგორიულად მიუღებელი, დაწყებული შარლ მიშელის დოკუმენტის არმიღებიდან, დამთავრებული ლანძღვა-გინებით. საერთოდ, რატომ ელოდნენ, რომ ვინმე თავზე ხელს გადაუსვამდა?! მე სხვა რამის მეშინია.

***— რის გეშინიათ?***

— ჩვენ რომ მართლა ვერ მივიღოთ ეს სტატუსი, ძალიან ბევრი სიკეთე დაიკარგება. იგივე უვიზო მიმოსვლა, სავაჭრო ხელშეკრულება



**„თუ ეს სტატუსი ვერ მივიღეთ, ძალიან ბევრი სიკეთე დაიკარგება, იგივე უვიზო მიმოსვლა, სავაჭრო ხელშეკრულება. ამ ყველაფრის მოშლა ძალიან მძიმე განაჩენი იქნება და მაშინ გამოცვივდება ხალხი ქუჩაში“**

— ამ ყველაფრის მოშლა და ჩვენთვის ამ პრივილეგიებზე უარის თქმა იქნება ძალიან მძიმე განაჩენი და აი, მაშინ გამოცვივდება ხალხი ქუჩაში. მინიმუმ ნახევარ მილიონ ადამიანს მაინც ლუკმაპური დაეკარგება. ვიცით, რომ ამდენი ხალხია გასული ევროპაში, უმძიმეს სამუშაოებს ასრულებენ და კვებავენ ოჯახებს.

***— რამდენად სწორად დასვა პრეზიდენტმა აქცენტები? ამბობენ, რომ ბოლო ერთ წელიწადში „ოცნებამ“ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა.***

— ეს შეცდომა არ არის, განზრახ მოქმედებაა.

***— რატომ, არ უნდათ სტატუსის მიღება?***

— არ უნდათ, რა თქმა უნდა! მათთვის ეს ზედმეტი თავისტკივილია და რაში სჭირდებათ?! რად უნდათ ახლა, პასუხისმგებლები იყვნენ ევროპის მოთხოვნებსა და დათქმებზე. არაფერში არ სჭირდებათ. გადასარევად არიან და მშვენივრად გრძნობენ თავს. მათთვის მთავარია, ხელისუფლება შეინარჩუნონ.

***— საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ისევ პოლარიზებას შეუწყო ხელი პრეზიდენტმა, როდესაც 20 ივნისის აქციას 16 ივნისის აქცია დაუპირისპირა.***

— სალომე ზურაბიშვილის ეს ბრიფინგი იყო რაღაც ორაზროვანი. ორგვარი შთაბეჭდილება დატოვა. ერთი იყო ის, რომ მან სრულიად სწორად განაცხადა, რომ მთავრობამ ჩააგდო სამუშაო ევროპაში და ამის გამო ძალიან ცუდი შედეგი მივიღეთ. მეორე მხრივ, ამ გადაფარებამ ბიძინა ივანიშვილზე, რომ მთავრობამ ბიძინა ივანიშვილი არ დაიცვა, რაღაც დუალისტური შთაბეჭდილება დამიტოვა. სხვადასხვა ხელით სხვადასხვა საქმეს აკეთებს.

***— როდესაც პრეზიდენტმა ბრიფინგი ჩანიშნა, იყო მოლოდინი, რომ გვარამიას შეწყალებას მაინც მოაწერდა ხელს, მაგრამ არ შეიწყალა. რატომ?***

— მე არ ველოდებოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ არ შეიწყალებდა. ბევრს ეგონა, რომ რადგან მოხსენიებული იყვნენ რეზოლუციაში სააკაშვილი და გვარამია, ამიტომ სალომე შეიწყალებდა. ნამდვილად არ იყო ასე. რეზოლუციაში ამაზე არავინ მიგვითითებდა. მსგავსი არაფერი არ წერია. რეკომენდაცია იყო სააკაშვილზე, რომ ჰუმანიტარული მიზნებით გაეშვათ სამკურნალოდ, ხოლო გვარამიაზე — გადახედეთ საქმესო. ახლა შეწყალება, ამ პროცესის წინ, უფრო ულამაზო იქნებოდა. სასამართლოს უნდა მიეცეს საშუალება, გვარამიას შემთხვევაში თვითონ გამოასწოროს თავისი გაფუჭებული საქმე. ხომ სისულელეა ასეთ ეკონომიკურ დანაშაულზე ადამიანის დაჭერა. დააჯარიმე და გაუშვი, რა უნდა ციხეში!

***— ბატონო მამუკა, აქვს იმხელა ავტორიტეტი სალომე ზურაბიშვილს, რომ დღეს ძალიან ბევრი ხალხი მივიდეს რესპუბლიკის მოედანზე?***

— მე მგონი, ძალიან გაფუჭდა სიტუაცია და საქმე სხვაგვარად არის. „ქართული ოცნება“ არ იღებს მონაწილეობას ამ მოვლენაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი არ მივა. ეს ნიშნავს, რომ აქციაზე ცოტა ადამიანი იქნება. ამით კი გამოდის, რომ სალომე ზურაბიშვილი, რომელიც გამწესებულია მომლაპარაკებლად ევროკავშირის ლიდერებთან, აბსოლუტურად არ სარგებლობს საზოგადოებაში ავტორიტეტით.

***— ასეთი ისტერიისა და კრიტიკული რეზოლუციის ფონზე რას ელით, მივიღებთ დათქმებით თუ საერთოდ ვერ მივიღებთ?***

— იმაზე ფიქრიც არ მინდა, რომ სტატუსს არ მოგვცემენ, იმდენად მძიმე შედეგები მოჰყვება არმიღებას. თუ სტატუსი არ მოგვცეს, ამით პირდაპირ გადაგვისვრიან რუსეთის ხახაში! დარწმუნებული ვარ, ახლა კრემლის ლობი მუშაობს ევროკავშირში და იქ ყველანაირად ხლართავენ საქმეს, რომ სტატუსი არ მოგვცენ. ამ სტატუსის მიღება ჩვენ ხომ გვაწყობს, ასევე ძალიან აწყობს ბიძინა ივანიშვილსაც.

***— აბა, ვის არ აწყობს?***

— ბიძინას სტატუსი ძალიან აწყობს. ეს სტატუსი არ აწყობს მხოლოდ იმ ხალხს, რომლებიც გასაწირად გაამზადა ბიძინამ. ესენი კი არიან კობახიძე და ღარიბაშვილი.

***— ამ ბოლო პერიოდშიც გამოდის ხმები, რომ კობახიძე ივანიშვილის წინააღმდეგ მოქმედებს, მისი განცხადებები ივანიშვილის წინააღმდეგ არის მიმართულიო.***

— კი ბატონო, ეს ნიშნები აშკარად ჩანს. დაინახეს ადამიანებმა, რომ შესაძლოა განტევების ვაცის როლში აღმოჩნდნენ და ცხადია შეეცდებიან, რომ თავი დაიცვან.

***— ანუ წავიდა გადაბრალების პროცესი? კობახიძე სალომე ზურაბიშვილს აკრიტიკებს და პარალელურად ივანიშვილსაც რევს ამ ამბავში, მისი კანდიდატურა იყოო.***

— კი, ასეა. ადრე გაკეთებული განცხადებების ფონზე, კობახიძის მხრიდან ეს განცხადება საკმაოდ თამამი იყო.

***— ხომ არ არის ისე, რომ „ქართული ოცნებაც“ განტევების ვაცს ეძებს და შესაძლოა, ეს ივანიშვილი იყოს?***

— კი ბატონო, ეს კონტურები იკვეთება.

***— ასევე ცუდად მიება ამას ივანიშვილის სანქცირებაზე საუბარი.***

— მოდით, დავიწყოთ იქიდან, რომ სანქცირება არ არის ასე მარტივი. სიმართლე თქვა სალომემ: ერთია რეზოლუცია, სადაც არის მოწოდება ამაზე და მეორეა, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირი. მე ვფიქრობ, რომ არანაირ სანქციას არ დააკისრებენ, რადგან ივანიშვილს უკრაინის საქმეებში მონაწილეობა არ მიუღია. ივანიშვილის სანქცირებას დიდად არ ველი. სანამ ივანიშვილს საკუთარ ფულთან შეხება აქვს და შეუძლია, ის ფული განაგოს, როგორც უნდა, ისე მართოს, მანამდე ის იქნება ბატონპატრონი „ქართული ოცნებისა“. თუ ამ ბერკეტებს დაკარგავს და უფულოდ დარჩება, მაშინ, რა თქმა უნდა, ის უკვე აღარავის აღარ სჭირდება.

***— დღეს რას ცდილობს კობახიძე, ნიადაგს ამზადებს?***

— კი ბატონო. ხომ ნახეთ, განაცხადა კიდეც, ეგ უკვე სანქცირებულია, მისი ანგარიში დახურულიაო. ეს ნიშნავს იმას, რომ ბიძინას ფული აღარ აქვს და ვილას რაღაში სჭირდება. ძალიან სერიოზული დაპირისპირება დაიწყება შიგნით. სალომეს ხისტი განცხადება იმას არ ნიშნავს, რომ ეს თავისი ინიციატივით თქვა.

***— რას გულისხმობთ, ან ვის ბანაკშია დღეს სალომე ზურაბიშვილი?***

— სალომე თავიდანვე ბიძინას ბანაკში იყო და მის ბანაკში რჩება, „ოცნებას“ ურტყამს და ბიძინას ზურგი აქვს. ზოგადად, ბიძინა ივანიშვილს „ქართული ოცნება“ ორად ჰქონდა გაყოფილი, დასავლური მიმართულება სალომეს ჩააბარა, ხოლო პრორუსულ-პრობიძინური — კობახიძეს. პრობლემები შეიქმნა სწორედ მთავრობის მიმართულებით. სალომემ, ცხადია, ეს გამოიყენა, რაც, სავარაუდოდ, ბიძინასთან იყო შეთანხმებული და ეს ერთობლივი დარტყმა იყო.

***— ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა ზედმეტად გააძლიერა კობახიძე და ეს სანანებელი აქვს?***

— ღარიბაშვილი არ არის გაძლიერებული? ის კიდევ უფრო გაძლიერებულია.

***— ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილიც განუდგება ბიძინას?***

— თუ შეატყო, რომ გასაწირად არის გამზადებული, აბა რას იზამს. ხომ ვხედავთ, რომ ბიძინა ისეთი ძლიერი აღარ არის, თუმცა ჯერჯერობით რაღაც სადავეები უჭირავს. მერე ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ბიძინასთვის ძალიან საშიშია დღეს კობახიძე-ღარიბაშვილის ტანდემი. თუ პარლამენტი მხარს დაუჭერს მთავრობას, მაშინ ორივე ერთად საშიში ხდება და შეიძლება მოაშორონ ბიძინა. ახლა საკითხავია, ჩვენთვის რა ჯობია, ბიძინა დაგვრჩეს თუ კობახიძე-ღარიბაშვილი?! მე ვფიქრობ, რომ ესენი უფრო ძნელი გასაშვები იქნებიან, რადგან უკან აღარაფერზე აღარ დაიხევენ. ამიტომ ჯობს, ბიძინამ მოაშოროს ეს ორი პრორუსული მიმართულების ადამიანი. დაგენაძლევებით, რომ თუ ჩვენ ეს სტატუსი მივიღეთ, მაშინ ვადამდელი არჩევნები აუცილებლად იქნება.

***— თუ მივიღეთ თუ ვერ მივიღეთ?***

— თუ მივიღეთ, ეს ბიძინას გააძლიერებს და მაშინვე მოიშორებს კობახიძე-ღარიბაშვილს, არც ერთი აღარ დასჭირდება, ხოლო თუ ვერ მივიღეთ, მაშინ საქართველოში ძალიან მკაცრი რეჟიმი დამყარდება.

# ნათია მეზვრიშვილი: „ევროკავშირი დღეს ჩვენგან ერთადერთსა და მთავარს ელოდება“



ფაქტია, რომ „ოცნების“ ბოლოდროინდელმა პოლიტიკამ საქართველოს ევროპული და თავისუფალი მომავალი რეალური საფრთხის ქვეშ დააყენა — უნდა გვესმოდეს, რომ აქციები არ არის საკმარისი და ეს კარგად იცის საქართველოს პრეზიდენტმაც.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნათია მეზვრიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის შეფასებით, იმისთვის, რომ დარჩენილ დროში საქართველოს ევროპული პერსპექტივა გადავარჩინოთ, მნიშვნელოვანია რეფორმების გატარება.

ნათია მეზვრიშვილმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, დაუყოვნებლივ აიღოს პოლიტიკური ვალდებულება რეფორმებზე.

— გვსურს დავაფიქსიროთ მკაფიო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის დღეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ დარჩენილ მცირე დროში საქართველოს ევროპული პერსპექტივა გადავარჩინოთ. ეს გახლავთ რეფორმები, რეფორმები და მხოლოდ რეფორმები.

ფაქტია, რომ „ოცნების“ ბოლოდროინდელმა პოლიტიკამ საქართველოს ევროპული და თავისუფალი მომავალი რეალური საფრთხის ქვეშ დააყენა. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, ვის რა მიზანი ამოძრავებდა, მათ შორის, გაერთიანების მიზანი, აქციების დაანონსების დროს აქციებზე თარიღების მსჯელობამ საზოგადოების გახლეჩა გამოიწვია, რაც მხოლოდ და მხოლოდ გვაზიანებს.

აქციები მნიშვნელოვანია მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსახატავად და ჩვენს ამომრჩეველს ამ მხრივ სრული თავისუფლება აქვს. ასევე, უნდა გვესმოდეს, რომ აქციები არ არის საკმარისი და ეს კარგად იცის საქართველოს პრეზიდენტმაც. მიუღებელია ევროპული პერსპექტივის გადარჩენის ტვირთის გადატანა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც არაერთხელ დაუმტკიცეს ევროპას, რომ ევროპა საქართველოს მოქალაქეების ისტორიული არჩევანია და ეს ძალიან კარგად იციან ევროკავშირში. ევროკავშირი დღეს ჩვენგან ელოდება ერთადერთს და მთავარს, ხელისუფლებამ გამოხატოს დემოკრატიული რეფორმების გატარების მინიმუმ მზაობა და პოლიტიკური ნება.

შესაბამისად, მოვუწოდებთ ოცნებას, გონს მოეგონ და დაუყოვნებლივ აიღონ პოლიტიკური ვალდებულება რეფორმებზე. ისეთ რეფორმებზე, რომელიც უზრუნველყოფს 2024 წელს არჩევნების თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარებას, მათ შორის, კორუფციისგან და სისტემურ დარღვევებისგან თავისუფალ არჩევნებს, ხოლო არჩევნების ძალაუფლების რეალურ განაწილებას, დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას, რაც საბოლოო ჯამში მოახდენს ავტორიტარიზმის პრევენციას და ჩვენს ქვეყანაში გადაარჩენს დემოკრატიას და შესაბამისად დემოკრატიის გადარჩენით გადაარჩენს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

# საფრანგეთის ელჩი ზურაბიშვილის შეკრებაში მონაწილეობას მიიღებს

საქართველოში საფრანგეთის ელჩი დიეგო კოლასი 16 ივნისს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ ევროპის მოედანზე დაანონსებულ შეკრებაში მონაწილეობას მიიღებს.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საფრანგეთის საელჩოში განუცხადეს.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ აქციაში მონაწილეობა დაადასტურა საქართველოში გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმაც.

ცნობისთვის, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მოსახლეობას შესთავაზა, 16 ივნისს შეიკრიბონ ევროპის მოედნიდან რიყემდე, რათა „დავანახოთ ევროპას ჩვენი თავი, ჩვენი ერთობა“, ხოლო 20 ივნისს დაგეგმილი აქციის „შინ ევროპისკენ“ მონაწილეებს მიმართა, „თუ დაფიქრდებიან, შეიძლება ეს გამოსვლა გადაიდოს, რომელიც ბევრ საფრთხეს უკავშირდება“.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თუ სტატუსი არ მოგვცეს, ივანიშვილი ვიღაცას გაწირავს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „სალომე ზურაბიშვილი ცდილობს, ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, თქვენ როგორ შეაფასებთ სალომე ზურაბიშვილის გზავნილებს? ბევრი ელოდა, რომ ნიკა გვარამიას შეიწყალებდა და უფრო ქმედითი იქნებოდა.***

– დიდდ არ ველოდი, რომ ვინმეს შეიწყალებდა, მათ შორის ნიკა გვარამიას. ეს უფრო ოპოზიციის ზეწოლა იყო მასზე, ფსიქოლოგიური ზეწოლა. თუმცა, როგორც ჩანს, საკმაოდ მყარი ნერვების პატრონია.

რაც შეეხება გზავნილებს, იმ განცხადებებს, რომლებიც მოვისმინეთ, ეს იყო დაბალანსებული კრიტიკა ორივე მიმართულებით, როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების მიმართ. სალომე ზურაბიშვილი ცდილობს, ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს. ის აკრიტიკებს როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ისე – „ქართულ ოცნებას“. მიუხედავად ამისა, ასევე ცდილობს, იყოს შუამავალი და მხარეებს შორის არსებული დაპირისპირება როგორმე შეარბილოს.

***– ბიძინა ივანიშვილის მიმართ გაკეთებული განცხადება, რომ ის რეზოლუციაში უსამართლოდ მოხვდა და რომ ვერ დაიცვეს „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, რისკენ იყო მიმართული?***

– დიახ, ეს განცხადება ნამდვილად ბიძინა ივანიშვილისთვის იყო გაკეთებული. აშკარაა, რომ ის ივანიშვილის მიმართ რბილია, რბილ შეფასებებს აკეთებს. ცხადია, ივანიშვილს ვერ დაადანაშაულებდა და დაადანაშაულა კობახიძე და ღარიბაშვილი, რომლებიც აქტიურ პოლიტიკას აწარმოებენ. ერთ სიბრტყეში ვერ განიხილავდა ამ სამეულს. ამიტომ გააკრიტიკა ისინი, ვისაც ეკუთვნოდა კრიტიკა, როგორც აქტიურ პოლიტიკოსებს. ეს პოზიცია კარგად ჯდება იმ კონცეფციაში, რომელსაც ჰქვია ნეიტრალური პრეზიდენტი. ის შეეცდება, ეს ხაზი ბოლომდე შეინარჩუნოს.

***– მიუხედავად იმისა, როგორი იქნება ივანიშვილის შემდეგი ნაბიჯები?***

– სანამ ივანიშვილი ამის შესაძლებლობას მისცემს, დარწმუნებული ვარ, სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს ღიად არ გააკრიტიკებს.

***– შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ „ქართული ოცნების“ კრიტიკა, რომ მათ გააფუჭეს საქმე, ნიშნავს ირაკლი კობახიძისა და ირაკლი ღარიბაშვილის გაშვების შეთავაზებას ივანიშვილისადმი?***

– შეიძლება, არაფერი არ არის გამორიცხული, რომ ასეთი სურვილი ჰქონდეს სალომე ზურაბიშვილს და ამას ეუბნებოდეს კიდეც ამ განცხადებით ივანიშვილს. თუმცა, რამდენად არის ეს მისაღები ივანიშვილისთვის, რამდენად დაუჯერებს, ეს სხვა საკითხია.

„ქართულმა ოცნებამ“ რომ ვერ იმუშავა საერთაშორისო ასპარეზზე, მართალია. ეს ფაქტია და ამ ფაქტის კონსტატირება მოახდინა პრეზიდენტმა. მან თქვა, რომ ბრიუსელში გაფუჭებული საქმე დახვდა, რომ „ოცნებამ“ არ იმუშავა ევროპის არც ერთ დედაქალაქში. მე მაინც მგონია, რომ მისი ეს ნათქვამი სწორედ ამ კონ-



ტექსტიდანაა და არა იქიდან, რომ ღარიბაშვილი და კობახიძე ივანიშვილმა თანამდებობებიდან გადააყენოს. თუ ეს საჭირო გახდა, თუ ამას ჩათვლის საჭიროდ, უფრო სწორად, თავად ივანიშვილი მიიღებს ამ გადაწყვეტილებას ძალიან მშვიდად და აუღელვებლად, პრეზიდენტის კარნახის გარეშე.

***– შეიძლება ივანიშვილმა მიიღოს კიდეც ასეთი გადაწყვეტილება?***

– არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ ამას არ გააკეთებს მანამ, სანამ არ გაირკვევა სტატუსის მონიჭების საკითხი. მერე არაფერი არ არის გამორიცხული.

***– თუ სტატუსი არ მოგვცეს, ვიღაცას გაწირავს?***

– დიახ, ეს საჭირო გახდება. ამიტომ ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ევროსაბჭო.

***– რაც შეეხება 16 ივნისის აქციას, ამ თარიღმა ბევრი კითხვა გააჩინა, ხომ არ იყო სპეციალურად 20 ივნისის საპირწონედ შერჩეული.***

– არა მგონია, ეს ვერსია სწორი იყოს, რადგან, როგორც ვიცით, გადაწყვეტილება 17 ივნისს უნდა გახდეს ცნობილი. ამიტომ 16 ივნისს, დღეს, ერთი დღით წინმსწრებად ძალიან კარგია ასეთი ერთიანობის დაფიქსირება, ასეთი გზავნილი ევროკავშირის 27 სახელმწიფოსადმი, რომ ხელისუფლების, ოპოზიციის, მთლიანად ქვეყნის მოქალაქეების, განურჩევლად ჩვენი პოლიტიკური შეხედულებებისა, განსხვავებულობისა, მიზანი და სურვილი დასავლეთში ინტეგრაციისა ერთიანია. ეს ძალიან კარგი იდეაა. ამიტომ მე აქ ვერანაირ ქვეტექსტს ვერ ვხედავ.

რაც შეეხება 20 ივნისის აქციას, თუ მას პოლიტიკური შეფერილობა არ ექნება და, პოლიტიკური განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა ერთად იქნება, ძალიან კარგია, მაგრამ ეს ალბათ შეუსრულებელი მისია იქნება.

***– დღევანდელ აქციაზე „ოცნება“ არ აპირებს მისვლას.***

– ძალიან ცუდი. არის საკითხები, სადაც ვიწროპარტიული ინტერესები გვერდზე უნდა გადადო. ეს არ არის პოლიტიკური აქტივობა. ეს არის ერთიანობის დაფიქსირება, რომ ევროკავშირი ჩვენი სახელმწიფოს საუკუნოვანი არჩევანია და რომ დასავლეთს ალტერნატივა არ აქვს.

***– ოპოზიციის ნაწილი, მაგალითად, „ლელო“ მივა.***

– ეს ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა. აქციაზე იქნება წარმოდგენილი ის პოლიტიკური სპექტრი, რომელიც არც „ქართულ ოცნებას“ სწყალობს და არც ნაციონალურ მოძრაობას. ეს უკვე კიდევ ერთი პოლიტიკური გზავნილი იქნება.

# ირაკლი კობახიძე: „ეკა გიგაური 20 წელია ბრეჟნევივით არის“

– სასურველი იქნებოდა, ჩვენს პარტნიორებს პირდაპირ ეთქვათ, რომ ემიჯნებიან ეკა გიგაურის, ლომჯარიას, უსუფაშვილის, მარგველაშვილის განცხადებებს. გამოდის, რომ ესენი ყველანი ყოფილან რუსეთის აგენტები, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა აშშ– ის ელჩ კელი დეგნანის განცხადებას, რომ განცხადებები, თითქოს აშშ-ს სურს მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში, 100 პროცენტით რუსული დეზინფორმაციაა.

კობახიძის თქმით, სწორედ ეს ადამიანები ამწიფებენ აზრს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე.

– თუ ეს არის რუსული დეზინფორმაცია, აქ მაქვს გიგაურის, ლომჯარიას, უსუფაშვილის, მარგველაშვილის, ჭიაბერაშვილის განცხადება, ვახო სანაიას განცხადება, კონკრეტულ მედიაში გაშვებული სიუჟეტი, პაატა ზაქარეიშვილის განცხადება, მაშინ გამოდის, რომ ესენი ყველანი ყოფილან რუსეთის აგენტები.

ისინი პირდაპირ საუბრობენ იმაზე, რომ საქართველომ ამ შანსით უნდა ისარგებლოს და ამწიფებენ ამ აზრს (მეორე ფრონტის გახსნის), მათ შორის, მათი ნაწილი, „ენჯეოები“, ფინანსდებიან იმ წყაროებიდან, რაც ამ ეჭვებს მერე აღრმავებს. აქედან გამომდინარე, ნაცვლად ზოგადი განცხადების გაკეთებისა, სასურველი იქნებოდა, ჩვენს პარტნიორებს პირდაპირ ეთქვათ, რომ ემიჯნებიან მაგალითად ეკა გიგაურის, ლომჯარიას განცხადებას, ემიჯნებიან უსუფაშვილის, მარგველაშვილის განცხადებას და ა.შ. ჩვენ უნდა მოვისმინოთ ასეთი განცხადებები დიპლომატების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში, მერწმუნეთ, არავის ექნება იმის საბაბი, რომ ისაუბროს ასეთ ინტერესებზე, – განაცხადა კობახიძემ.

კითხვაზე, რომ აშშ-ის ინტერესზე, გახსნილიყო მეორე ფრონტი საქართველოში, მის მიერ ჩამოთვლილ ადამიანებს არ უსაუბრიათ და ამაზე „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა ექსპერტებმა ისაუბრეს, კობახიძე აცხადებს, რომ სწორედ მის მიერ დასახელებული ადამიანების განცხადებები ქმნის საბაბს, რომ ექსპერტებმა ამაზე ისაუბრონ.

– ესენი არიან ექსპერტები და გარკვეული ლოგიკით აწყობენ თავის მოსაზრებებს. როცა გიგაური ამას პირდაპირ ამბობს, იმას უჩნდება გარკვეული ეჭვები, რომელიც საფუძვლიანია თუ უსაფუძვლო, ეს ცალკე თემაა, მაგრამ არავინ უნდა დატოვოს სივრცე ასეთი ეჭვების გაჩენისთვის. ლოგიკური ჯაჭვი არსებობს, ეკა გიგაურის განცხადება ვიღაცას აძლევს იმის თქმის საბაბს, რომ დასავლეთია დაინტერესებული მეორე ფრონტით. 20 წელია ბრეჟნევივით არის ერთი და იგივე „ენჯეოს“ ხელმძღვანელი და იღებს დაფინანსებას ერთი და იგივე წყაროდან, როცა გიგაური ამას ამბობს, მერე ეს მიეწერება ვიღაცისგან დასავლელ პარტნიორებს, ამიტომ როცა გიგაური ამას ამბობს, მნიშვნელოვანია მოხდეს ასეთი განცხადების უარყოფა მყისიერად.

როცა უსუფაშვილი, მარგველაშვილი და სხვები ასეთ განცხადებებს აკეთებენ და მერე სელფებს იღებენ უცხოელ დიპლომატებთან და პარტნიორებთან, მნიშვნელოვანია მოხდეს გამიჯვნა ასეთი განცხადებებიდან. როცა ვიღაცები ცდილობენ მეორე ფრონტის შესახებ აზრი მოამწიფონ და არავინ ემიჯნება ამას, ეს აჩენს გარკვეულ საფუძველს და საბაბს. პირდაპირ განცხადებებია გაკეთებული, რომელიც ემსახურება მეორე ფრონტის შესახებ აზრის მომწიფებას, უნდა გაემიჯნონ ამას. თუ გაემიჯნებიან, ვიღაც ექ-



სპერტებს აღარ ექნებათ საბაბი, ასეთ ვერსიებზე ისაუბრონ. ისინი თვითონ ქმნიან საბაბს, ექსპერტები ალაპარაკონ დასავლეთის ინტერესზე მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, – განაცხადა კობახიძემ.

# ერთ თვეში რუსეთიდან ფულადი გზავნილები 136%-ით გაიზარდა

რუსეთიდან ფულადი გზავნილები ერთ თვეში რეკორდულად, 136%-ით გაიზარდა.

კერძოდ, ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის მაისში უცხოეთიდან საქართველოში ჯამში 505.7 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, აქედან 313.9 მლნ აშშ დოლარი რუსეთზე მოდის. ეს მაშინ, როდესაც წინა თვეში რუსეთიდან საქართველოში 132.98 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, მარტში – 27 მლნ აშშ დოლარი, ხოლო თებერვალში – 21.9 მლნ აშშ დოლარი.



რაც შეეხება ტოპ-10 ქვეყანას, საიდანაც 2022 წლის მაისში ყველაზე მეტი თანხა გადმოირიცხა, ასე გამოიყურება:

- რუსეთი – 313.9 მლნ აშშ დოლარი
- იტალია – 36.816 მლნ აშშ დოლარი
- აშშ – 27.776 მლნ აშშ დოლარი
- ყაზახეთი – 20.808 მლნ აშშ დოლარი
- საბერძნეთი – 20.325 მლნ აშშ დოლარი
- ისრაელი – 16.069 მლნ აშშ დოლარი
- გერმანია – 13.311 მლნ აშშ დოლარი
- თურქეთი – 8.127 მლნ აშშ დოლარი
- ყირგიზეთი – 5.682 მლნ აშშ დოლარი
- ესპანეთი – 4.955 მლნ აშშ დოლარი.

# ხუნდაძე: „განცხადების რეკომენდაცია ბიძინა ივანიშვილისგან არ მიმიღია“

20 ივნისს დაგეგმილი აქცია აბსოლუტურად სხვა ქვედინებისაა, „სირცხვილიამ“ დაგეგმა და ეს, ფაქტობრივად, ნაციონალური მოძრაობის დაგეგმილია. ეს საერთოდ სცდება ყველაფერს.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დიმიტრი ხუნდაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისი თქმით, ევროპულ ინტეგრაციას ამდაგვარი მხარდაჭერა არ სჭირდება.

– მათი მიზანი რა არის, იცით? არ გამოვიდა აქცია, რომ მიშა საჭმელს არ ჭამს, შემდეგ ის, რომ მძიმედ არის, შემდეგ გვარამიას მოეწყინა საკანში, არ გამოვიდა ეს თემა, საზოგადოება ამაზე არ გამოდის და ახლა მოიფიქრეს, რომ ევროპული მხარდაჭერის თვალსაზრისით საზოგადოება შეიკრიბოს. მინდა გითხრათ, რომ იქ მისვლა პრაქტიკულად იქნება ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა, მაგრამ ევროპულ ინტეგრაციას ამდაგვარი მხარდაჭერა არ სჭირდება, რატომ, იცით? ეს კალკულაციას აღარ საჭიროებს, საზოგადოების 85% სრულიად სწორად, უფრო მეტიც უნდა იყოს, უკვე უჭირს ევროპულ ღირებულებებს მხარს, ამას გადათვლა და გამოთვლა აღარ სჭირდება, ეს უკვე ცნობილია და საზოგადოება მყარად დგას ფეხზე, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

მისივე განცხადებით, შესაძლოა აქციაზე მისული „თავები“ ვიღაცამ დათვალოს და სხვა მიზნებით გამოიყენოს.

– შესაძლოა, ეს თავები ვიღაცამ გამოიყენოს ამ შინაარსით, მაგრამ სხვა მიზნით. ამიტომ ქართულ საზოგადოებას სჭირდება სიფრთხილე. როცა სათქმელია, უნდა ითქვას, როცა საჭიროა უნდა გაკეთდეს, მაგრამ არ უნდა გაკეთდეს ის, რაც შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს, თუნდაც კარგი მიზნით დაგეგმილი, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

გარდა ამისა, დიმიტრი ხუნდაძემ გადაცემაში ევროპარლამენტის რეზოლუციაზე მის მიერ გაკეთებულ განცხადებაზეც ისაუბრა.



მისი თქმით, განცხადება, რომ „თუ საქართველო სტატუსს უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, ქვეყანამ მასზე უარი უნდა თქვას“, არც ბიძინა ივანიშვილისა და არც „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერების რეკომენდაცია არ ყოფილა და მისი ბუნებრივი რეაქცია იყო.

„დეპუტატმა ასეთი განცხადება გააკეთოს არ არის მარტივი და ამას გარკვეული პასუხისმგებლობა სჭირდება. მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაზე უკეთ იცის ბატონმა ბიძინამ, რომ მე მისგან არ მიმიღია რეკომენდაცია, მე ის კარგი ხანია არ მინახავს. ის, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაიცვა, ეს არის შენი პასუხისმგებლობა, ამას არავის შეხსენება არ სჭირდება, როცა დასაცავია ღირსება საზოგადოების, ქვეყნის და მას შეურაცხყოფას აყენებენ, აქ ყველამ უნდა ამოიღოს ხმა, უნდა ითქვას სათქმელი. მე არ მჭირდებოდა არავის შეკვეთა, დაკვეთა, ზარი და ფორმულირება, რა უნდა მეთქვა, მე ვისაუბრე იმაზე, რამაც ძალიან გამაბრაზა და ვფიქრობ, რომ ეს იყო აბსოლუტურად სამართლიანი, იმ უსამართლობაზე, რაც დიმიტრი ხუნდაძეს კი არ შეეხო მხოლოდ ან მის ოჯახს, არამედ ეს შეეხო მთელს საზოგადოებას. ეს იყო ბუნებრივი რეაქცია ყველა პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის. მაგრამ ის, რომ ჩემს რეაქციაზე სახალხო დამცველი მეუბნება, რომ „რას ამბობ, გაჩუმდი, როგორ ბედავ?“ მე ვფიქრობ, ეს არის სწორედ დანაშაული, როდესაც სათქმელია და არ ამბობ. მე რაც ვთქვი კიდევ შემიძლია გავიმეორო და ეს ასეა, ჩემი ქვეყნის ღირსებას როცა შეეხება ვინმე, თუნდაც ეს ევროპული უსამართლობა იყოს, მიუღებელია და ამაზე რეაქცია მექნება, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

ამასთან, დიმიტრი ხუნდაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ პრეზიდენტის მიერ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადებებიც შეაფასა და აღნიშნა, რომ „ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ნათქვამი იყო, ამბობდა ერთს და შემდგომ მისი ნათქვამი პირვანდელ მის ნათქვამს უპირისპირდებოდა“.

– პრეზიდენტის გამოსვლის შეფასება არ არის მარტივი, რამდენჯერმე უნდა გადახედო მის ნათქვამს, ბევრი ურთიერთ საწინააღმდეგო ნათქვამი იყო, ამბობდა ერთს და შემდგომ მისი ნათქვამი პირვანდელ მის ნათქვამს უპირისპირდებოდა. არ იყო მარტივი შესაფასებელი, თუმცა იყო აქცენტები გაკეთებული, რომელიც პრაქტიკულად მისივე ძველ ნათქვამს ასწორებდა, მაგალითად ის, რომ ერთ სიბრტყეში დააყენა გვარამია, სააკაშვილი და ბატონო ბიძინა, მან ეს გუშინ პრაქტიკულად აღიარა და გამოასწორა, რომ ეს არასწორი იყო და ის თავს იმართლებდა, რომ ის არ აპირებდა იმას, რომ ერთ სიბრტყეში დაეყენებინა, პირიქით, აქეთ დასდო მმართველ გუნდს ბრალი, რომ ვერ იმუშავა.

თავიდან დაგვიწუნა ჩვენ, პოლიტიკოსებს, რეზოლუციის შეფასება და შემდეგ თვითონვე აღიარა, რომ რეზოლუციაში ძალიან ბევრი აცდენილი საკითხი იყო, მაგალითად, იმავე სანქცირების თემასთან დაკავშირებით. ერთი მისი ნათქვამი მეორეს ეწინააღმდეგებოდა, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

# ომი კრიტიკულ სტადიაში შევიდა

## უესლი კლარკი: „რუსეთის აგრესიის შესაკავებლად აუცილებელია ნატოს ძალების პირდაპირი ჩარევა“



### უკრაინელი სამხედრო ექსპერტი: „დონბასის მოსახლეობამ უკრაინაზე პოზიცია შეიცვალა. 8 წლის განმავლობაში რუსეთი ბევრს ყელში ამოუვიდა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირის სტატუსის მოლოდინში არიან. იმავდროულად, ომი უკრაინაში გრძელდება. სწორედ რუსეთის უკრაინაში შეჭრამ დააჩქარა „ასოცირებული ტრიოს“ მხრიდან განაცხადების შეტანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე.

დასავლელი ექსპერტების დასკვნით, ომი კრიტიკულ სტადიაშია. დაზვერვის მონაცემებით, აგრესორი ქვეყანა აგროვებს საკუთარ არტილერიას უკრაინის აღმოსავლეთის ორ ქალაქში.

დასავლეთში განიხილავენ უკრაინაში მოვლენების განვითარების სამ შესაძლო სცენარს.

1. რუსეთი თანდათან გააგრძელებს წარმატების მიღწევის მცდელობას აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქებში;

2. ფრონტის ხაზი ჩიხში ექცევა. ეს ვითარება თვეებისა და წლების განმავლობაში გაგრძელდება;

3. რუსეთი გადახედავს თავის სამხედრო მიზნებს, გამოაცხადებს „გამარჯვებას“ და დააახლოებს საბრძოლო მოქმედებებს.

აშშ-ში მიიჩნევენ, რომ თუ რუსეთს გამოუვა თავისი რომელიმე წარმატების განმტკიცება აღმოსავლეთში, მაშინ, საბოლოოდ, ის შეძლებს ამ ტერიტორიის პლაცდარმად გამოყენებას ქვეყნის შიგნით შემდგომი გადაადგილებისათვის.

### „რუსეთის აგრესიის შესაკავებლად აუცილებელია ნატოს ძალების პირდაპირი ჩარევა“

დასავლეთი აგრძელებს უკრაინისათვის სერიოზული შეიარაღების მიწოდებას. უკრაინასა და მის ფარგლებს გარეთ ამ პროცესის ტემპი და მასშტაბი ყველას არ აკმაყოფილებს.

ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი** აცხადებს:

– უკრაინამ უნდა მიიღოს მეტი მძიმე შეიარაღება. მოკავშირეებმა ნატოში და პარტნიორებმა ამგვარი იარაღი მას მიაწოდეს. ეს ქმედებები ძლიერდება. მზად უნდა ვიყოთ ხანგრძლივი გაგრძელებისათვის. ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, როგორ დამთავრდება ეს ომი, უნდა მოვემზადოთ დახმარების გასაწევად დიდი ხნის განმავლობაში.

ნატოს სახელმწიფოები უკრაინის დახმარებისათვის მზადყოფნას გამოხატავენ. ნიდერლანდის პრემიერი მარკ რიუტე აღნიშნავს, რომ ნიდერლანდი გერმანიასთან ერთად მალე გადასცემს უკრაინას 12 თვითმავალ ჰაუბიცას. ეს მოხდება მაშინვე, როცა უკრაინის ეკიპაჟები დაამთავრებენ წვრთნას.

**მარკ რიუტეს** სიტყვებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა ეს ომი წააგოს. ვინაიდან ჩვენ რუსეთთან ვერ გვექნება პირდაპირი კონფრონტაცია თვითმფრინავებისა და ნატოს ჯარების გამოყენებით, უნდა უზრუნველვყოთ, რომ ეს ომი აწარმოოს უკრაინამ. მას უნდა ჰქონდეს წვდომა შეიარაღების ყველა აუცილებელ სახეობაზე.

ომში ნატოს ჩარევის საჭიროებაზე საუბრობს ამერიკელი გადამდგარი გენერალი, აშშ-ისა და ნატოს გაერთიანებული სამოკავშირეო ძალების ყოფილი მთავარსარდალი უესლი კლარკი.

**უესლი კლარკი:**

– უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად აუცილებელია ნატოს ძალების პირდაპირი ჩარევა. იდეა იმის შესახებ, რომ ნატოს არაფრის გაკეთება არ შეუძლია, თუ არ იქნება პირდაპირი შეტევა, ნიველირებული იყო ჯერ კიდევ 90-იან წლებში. დროა დავუბრუნდეთ გაკვეთილებს, რომლებიც ავითვისეთ. ნატო უნდა ჩაერიოს. მოდით, ეს ოფიციალურად გამოვაცხადოთ და მოვუწოდოთ რუსებს, შეწყვიტონ ცეცხლი. ჩარევის გარეშე ომის შეჩერება შეუძლებელია.

გადამდგარი გენერალი, ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდალი **ფილიპ ბრიდლავი** ამ იდეას მიესალმება. მისი აზრით, მისი განხორციელება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

– ამჟამად აშშ-მ უნდა გააძლიეროს თავისი მონაწილეობა და მიაწოდოს დიდი შეიარაღება უკრაინას. სამხედრო დახმარების უკანასკნელი ტრანში არასაკმარისი იყო. უკრაინას ამჟამად შეიარაღება არ ჰყოფნის, – აცხადებს ბრიდლავი.

ომის ცხელი წერტილი ამჟამად დონბასია. უკრაინელების დასკვნით, ოკუპირებული დონბასის მოსახლეობამ, რომელიც რუსეთის საყრდენად ითვლება, შეიცვალა პოზიცია რუსეთისა და კიევის მიმართ.

უკრაინელი სამხედრო ექსპერტი **ვლად ვოლოშინი** ამბობს, რომ დონბასის დეოკუპაცია რთული იქნება, თუმცა მოსახლეობისგან მასშტაბური წინააღმდეგობა ამ პროცესში მოსალოდნელი არ არის. მოსახლეობა, სულ ცოტა, ნეიტრალურად მოიქცევა. მისი დაკვირვებით, ბოლო 8 წლის განმავლობაში ადგილობრივმა მოსახლეობამ გაიცნო რუსეთი და მას ის უკვე ყელში ამოუვიდა.

# „არავის ვეხვეწებით და არ ვმათხოვრობთ. ჩვენ ევროპაში ეს ადგილი გვეკუთვნის“

## ზურაბ ქადაგიძე: „რეზოლუცია მთელი რიგი უზუსტობებითაა სავსე“



„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე პასუხობს.

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ზურაბ, დღეს საქართველოში ევროპარლამენტის რეზოლუციის გამო დიდი ვნებათაღელვაა. თქვენ როგორ აფასებთ ამ რეზოლუციას, რომელიც საქართველოსთვის დადებითი დოკუმენტი არ არის?***

– ევროპარლამენტის აბსოლუტური უმრავლესობის რეზოლუციად ნუ მოვნათლავთ, გარკვეული ჯგუფების მიერ ინიცირებული რეზოლუციაა, რომელსაც ევროპარლამენტის 700 დეპუტატიდან 308-მა მისცა ხმა. თვითონ რეზოლუცია ფაქტობრივი უზუსტობებითაა სავსე. მხოლოდ ერთ მაგალითს მოგიყვანთ. მინიშნებაა მიხეილ სააკაშვილის კერძო სამედიცინო მომსახურების თაობაზე 9 ივნისს, ის კი კერძო კლინიკაში 12 მაისს, ერთი თვით ადრეა გადაყვანილი. ეს არის საშინელი ფაქტობრივი უზუსტობა.

მეორე (რაც ძალიან სამწუხაროა) საზოგადოების პოლარიზაციის მიზანმიმართული მცდელობაა. რეზოლუცია საზოგადოების პოლარიზაციას იწვევს. შეიძლება სამართლებრივი თვალსაზრისით შეფუთულია, მაგრამ რეალურად საზოგადოებაში ძალიან დიდ აღშფოთებას იწვევს, რაც ლეგიტიმურია, რადგან კონკრეტული ადამიანები, რომელთა გათავისუფლებას ბატონი კუბილიუსის სამეგობრო ითხოვს, კონკრეტულ დანაშაულებში არიან მხილებული.

მათგან ერთ-ერთი, რომელზეც მიხეილ სააკაშვილს ბრალი აქვს წარდგენილი და მსჯავრი დაედო, სანდრო გირგვლიანის საქმეა. გირგვლიანის საქმეში სააკაშვილი პირდაპირ ევროსასამართლოს მიერაა მხილებული. ის საქმის გაყალბებაში უშუალოდ მონაწილეობდა. წარმოიდგინეთ, როგორი პარადოქსია, რომ ევროსასამართლოს მიერ მხილებული დამნაშავე, რომელიც საქართველოს მართლმსაჯულებამ გაასამართლა, უნდა გაუშვა. ასეთი პირის გათავისუფლებას ევროპული ძალები ითხოვენ, ანუ რეზოლუცია მთელი რიგი უზუსტობებითაა სავსე, ფაქტობრივი მტკიცებულებების გარეშეა დარჩენილი და პოლიტიკური მიკერძოებულობა იკვეთება.

***– 308 დეპუტატმა დაუჭირა მხარიო, მაგრამ, ზოგადად, ევროპარლამენტის რეზოლუციაა და ევროკავშირში არავინ მოიკითხავს, ვინ დაუჭირა მხარი და ვინ – არა.***

– გეთანხმებით, მაგრამ ეს იმ დონის სამართლებრივი დოკუმენტი არ არის და ისეთ ფაქტობრივი სიზუსტით არ გამოირჩევა, რომ ყველას მხარი დაეჭირა.

***– უკრაინის ომის ფონზე ჯერ იყო და ევროკავშირმა სასწრაფოდ წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭების იდეა შემოგვთავაზა, კითხვარი გამოგვიგზავნა, რომელიც შევავსეთ და მოთხოვნა შევიტანეთ, მერე კი დაიწყო გამუდმებული საუბრები იმაზე, რომ ამ სტატუსს არ ვიმსახურებთ და არ მოგვანიჭებდნენ. ეს რა თამაშია?***

– სამწუხაროდ, გონივრული ეჭვებია და ასეთი კითხვები ისმება. ნამდვილად ვერ გეტყვით, რა თამაშია. სანამ ფაქტები არ მექნება, ევროპის დელეგაციასა და მაღალი თანამდებობის პირებს ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ, რომ ვინმემ რამე თამაში წამოიწყო, მაგრამ შემდეგ ევროპარლამენტის რეზოლუცია მიიღეს.

ამ ნიუანსებს, რომლებსაც ჩვენ პირობითად თამაშს ვეძახით, სამწუხაროდ, საქართველოში რადიკალური ოპოზიციის ლობისტები იყენებენ, თორემ ევროკავშირმა ჩვეულებისამებრ კითხვარი გამოაგზავნა, შემდეგ პასუხები გადავაგზავნეთ. 23-25 ივნისს განხილვები უნდა იყოს და, შესაბამისად, გადაწყვეტილებაც უნდა მიიღონ.

***– ამ თამაშში ბიძინა ივანიშვილის შემოყვანა რა მიზანს ისახავდა, ევროსაბჭოს რეზოლუციის ფასი გაზარდეს?***

– დიახ, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა, ევროპამ და ამერიკამ, ძალიან კარგად იციან, ვინ ჩაიდინა დანაშაული, ვინ რა ჩაიდინა. ორი თვის წინ ამერიკის ელჩმა, ქალბატონმა კელი დეგნანმა ივანიშვილს ფილანტროპი უწოდა. მანამდე საფრანგეთის პრეზიდენტმა ივანიშვილს, თუ არ ვცდები, ღირსების კავალერის ორდენი გადასცა.

დიახ, ივანიშვილის გვარი იმიტომ არის შემოტანილი, რომ ქართველ საზოგადოებაში რამენაირად დაძაბულობა იყოს, დუღილის ტემპერატურამ მოიმატოს და ვნებათაღელვა დაიწყოს.

სამწუხაროდ, ეს ადამიანები ძველ მეთოდებს იყენებენ, რომლებიც 21-ე საუკუნის 22-ე წელს აღარ მუშაობს, რადგან არსებობს მასმედია და ყველა ვიგებთ რეალობას, რეალურად ვიგებთ მათ მავნებლურ განცხადებებს.

ამიტომ, ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილის სახელი სპეციალურადაა შემოტანილი იმისათვის, რომ საქართველოში ამ ყველაფერს დაძაბულობა მოჰყვეს.

***– თქვენ ბრძანეთ, რეზოლუციას ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე გავლენა არ აქვსო...***

– რეზოლუციას, უმეტეს შემთხვევაში, რჩევისა და მითითების ხასიათი აქვს.

***– ამ გლობალურ თამაშში რომ ჩაგვრთეს, ანუ განაცხადეს, რომ სამი სახელმწიფო – მოლდოვა, უკრაინა და საქართველო – ევროკავშირში უნდა მივიღოთო, მაშინ არ იცოდნენ, საქართველოში როგორი ვითარება იყო? შეიძლება, ამ თამაშში კანდიდატის სტატუსი არ მოგვანიჭონ?***

– საქართველო გლობალურ პოლიტიკაში ორი დღის წინ არ შესულა. ის 30 წელია, გლობალურ პოლიტიკაშია. საქართველოს განსაკუთრებული როლი აქვს და ამ განსაკუთრებულობიდან უნდა ამოვიდეთ.

საქართველოს განსაკუთრებული როლი გამოიხატებოდა მის გეოპოლიტიკურ მდებარეობაში. ევროპის უკიდურესი აღმოსავლეთია, ევროპისთვის კარიბჭეა. როგორც ევროპაა საჭირო საქართველოსთვის, ასევეა საქართველო ევროპისთვის საჭირო. საქართველო რომ გაირიყოს, ჩათვალეთ, რომ ატლანტიზმი, როგორც გეოპოლიტიკური მდებარეობა, საქართველოს მიმდებარედ აღმოჩნდება.

საქართველო ტრიოს ფორმატში თუ ტრიოს ფორმატის გარეშეც იყო გლობალური პოლიტიკის ნაწილი და რჩება. როგორც საქართველოს სჭირდება ევროპა, ასევე ევროპას სჭირდება საქართველო. თანამშრომლობა არის ორმხრივი და არა ცალმხრივი.

ბატონმა პრემიერ-მინისტრმა ძალიან კარგი განცხადება გააკეთა. ჩვენ არავის არაფერს ვეხვეწებით. ეს სტატუსი ღირსეულად გვეკუთვნის. ჩვენ ოდითგან ვიყავით ევროპული ოჯახის, ევროპული ცივილიზაციის ნაწილი და ვართ. გარკვეულმა ბედუკუღმართობამ საბჭოთა კავშირის რკინის ფარდის აქეთ აღმოგვაჩინა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩვენს ადგილზე ვბრუნდებით. ეს ფრაზები სწორად უნდა გავიგოთ. არავის ვეხვეწებით და არ ვმათხოვრობთ. ჩვენ ევროპაში ეს ადგილი გვეკუთვნის.

***– მაშინ, ეს შანტაჟი რას ნიშნავს, რაც განაცხადი შევიტანეთ. შეიძლება, არ მიგვიღონ?***

– არანაირ სიურპრიზს არ ველოდები. ზოგადად, მათი განცხადებებიდან და არათანმიმდევრული შეფასებებიდან გამომდინარე, შეიძლება იფიქრო, რომ ევროკავშირი დღეს მზად არ არის ტრიოს ფორმატისთვის. კონკრეტულად საქართველოზე არ ვსაუბრობ. უკრაინაში კატასტროფული მდგომარეობაა. მოლდოვაში საუბარი დაიწყო (არ ვიცი, რამდენად მართალია), რაღაცების ხარჯზე მიმდინარეობს ვაჭრობა. ვთქვათ, ტერიტორიის დათმობის ხარჯზე შეიძლება სტატუსი მიანიჭონ და ა.შ.

რეალურად ევროკავშირი ამ ყველაფრისთვის მზად არ არის, მაგრამ, გამომდინარე უკრაინაში რეგიონული ომიდან, ბარბაროსობიდან, რომელიც რუსეთმა ჩაიდინა, ევროკავშირმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა უკრაინა, მოლდოვა და საქართველო, ევროკავშირის წევრობის სტატუსი უნდა მიანიჭოს.

წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროკავშირს არანაირ პასუხისმგებლობას არ აკისრებს, ანუ კანდიდატის სტატუსს არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორიც წევრად მიღებას. რადგან კანდიდატის სტატუსს სიმბოლური დატვირთვა აქვს, ამიტომ უნდა მოახერხონ და ეს სიმბოლური დატვირთვა ტრიოს ქვეყნებს მიანიჭონ. რაციონალური თვალსაზრისით ასეა.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭება ავტომატურად გამოიღებს ცუდ შედეგს, იმავე უკრაინაში ცუდ განწყობებს წარმოშობს. ისე გამოვა, რომ დასავლეთს რუსეთთან საომრად სჭირდება რომელიღაც ქვეყანა, მას იყენებს და არანაირ სტატუსს არ ანიჭებს.

მე არანაირ სიურპრიზს არ ველოდები. ან სამივეს მიანიჭებენ კანდიდატის სტატუსს, ან, თუკი რაღაც განსაკუთრებული მოხდა, მოლდოვასა და საქართველოს არ მიანიჭებენ, ხოლო უკრაინას დათქმით მიანიჭებენ, ან სამივეს არ მიანიჭებენ. ზოგადად, ჩვენმა სახელმწიფო თანამდებობის პირებმა განაცხადეს, რომ 2024 წელს გეგმაზომიერად წევრობაზე მიმართვას აპირებდნენ, მაგრამ, ომიდან გამომდინარე, გეგმები შეიცვალა. ახლა ჯერი ევროპაზეა.

# გრიგოლ ვაშაძე: „სააკაშვილს გადასხმები აღარ შველის“

ოპოზიციონერი დეპუტატის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები აქვს.

როგორც გრიგოლ ვაშაძემ მედიასთან განაცხადა, ოპოზიცია ხელისუფლებასთან იმ შემთხვევაში ითანამშრომლებს, თუ სააკაშვილს შეიწყალებენ.

– მიხეილ სააკაშვილს გადასხმებს უკეთებენ და ეს გადასხმები აღარ შველის, კარდინალური მკურნალობაა საჭირო, ამისთვის კი აუცილებელია საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანა, ამიტომ მოინახოს სამართლებრივი გზა იმისთვის, რომ ის, რასაც საქართველოს საზოგადოების უზარმაზარი ნაწილი ითხოვს, შესრულდეს და ერთხელ და სამუდამოდ დაპირისპირების, პოლარიზაციისა და ერთმანეთის ლანძღვა-გინების ფურცელი გადავშალოთ და ევროპას ვაჩვენოთ, რომ არა მარტო ევროკავშირის, არამედ ეროვნული ინტერესის მიმართაც ერთიანები ვართ.

არ ვიცი, რა ექსპერტიზაა საჭირო იმისათვის, როდესაც შეუიარაღებელი თვალით და საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის გარეშეც ჩანს, რომ ადამიანს ანორექსია, ანემია და ჯანმრთელობის უზარმაზარი დაზიანება აქვს და ამას ექსპერტიზა რაღად უნდა? ექსპერტიზა რომ აღარ სჭირდება, ამის პირველი მტკიცებულება არის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი რუსთავის მე-12 დაწესებულებაში კი არ დააბრუნეს, არამედ დღესაც საავადმყოფოშია. ამიტომ ჩემი მოლოდინი არის მარტივი, ძვირფასო ხელისუფლებავ, თუ მართლა გნებავთ თანამშრომლობა და ჩვენ მზად ვართ ამ თანამშრომლობისთვის, მაშინ გადადგით ეს ნაბიჯი (შეწყალება), რადგან ამაში საზოგადოება, თქვენი პოზიტიური განწყობის გარდა, სხვას არაფერს დაინახავს, დამიჯერეთ, – განაცხადა ვაშაძემ.



# პოლიციამ ჯგუფურად ჩადენილ გამოძალვისა და ძალადობის ფაქტზე 3 პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და კახეთში 3 პირი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, 1976 წელს დაბადებულ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ ქ.ხ.-ს ბრალად ედება ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვა, ხოლო წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი პირები – 1987 წელს დაბადებული გ.ბ. და 1975 წელს დაბადებული თ.ღ. ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვისა და ძალადობის ბრალდებით არიან დაკავებული.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მოქალაქე ე.ბ.-ს, ძალადობის გამოყენების მუქარით, 4.000 ლარი მოსთხოვეს. გ.ბ. და თ.ღ. კონკრეტულ ვადაში თანხის გადაუხდელობის მოტივით დაზარალებულს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ და სხეულზე დაზიანებები მიაყენეს. შემდგომი ძალადობის თავიდან აცილების მიზნით, ე.ბ.-მ მოთხოვნილი თანხა ბრალდებულებს გადასცა.

სამართალდამცველებმა სამივე პირი თბილისსა და კახეთში ერთდროულად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად დააკავეს. პოლიციამ გ.ბ.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 2 მჭიდი და 18 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო. ქ.ხ.-ს და თ.ღ.-ს პირადი ჩხრეკისას კი ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ გამოძალვასა და ძალადობას გულისხმობს", – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ბიუჯეტის გაფლანგვა, თაღლითობა, მითვისება

## აუდიტმა პროკურატურას გამოსაძიებლად 19 ანგარიში გადაუგზავნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, აუდიტმა პროკურატურას 19 ანგარიში გადაუგზავნა, საიდანაც 18-ზე გამოძიება დაიწყო. განცხადება ამის შესახებ გენერალურმა აუდიტორმა ერეკლე მექვაბიშვილმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომის დაწყებამდე გააკეთა. სხდომაზე დღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის ანგარიშს განიხილავენ.



მექვაბიშვილის ცნობით, პროკურატურისთვის გადაგზავნილი საქმეებიდან, განაჩენი დამდგარია დაახლოებით ნახევარზე მეტ საქმეზე.

„გასულ წელს, პანდემიის მიუხედავად, 50-მდე აუდიტის ჩატარება შევძელით. ჩვენი აუდიტების ჯამური ციფრი, დარღვევებიდან გამომდინარე, არის 107 მილიონი ლარი.

პროკურატურაში, მაღალი რისკიანობიდან გამომდინარე, გადაგზავნილი გვაქვს 19 ანგარიში, საიდანაც 18 -ზე დაწყებულია გამოძიება. საქმეები ძირითადად აღძრულია საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა-მითვისებაზე, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზე, გულგრილობასა და თაღლითობაზე. ბოლო პერიოდში, რაც ახლა მახსენდება, ეს არის თაღლითობის ფაქტი, რომელიც აღმოვაჩინეთ გორის მუნიციპალიტეტში, ასევე ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო საკმაოდ მასშტაბური თაღლითობის ფაქტები", – განაცხადა მექვაბიშვილმა.

მისივე თქმით, აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები 43%-ით სრულად შესრულებულია, 17% – ნაწილობრივ, ხოლო 305-ს შესრულების მიმდინარე სტატუსი აქვს.

# კონსტანტინე ნატროშვილს 20.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

პირს, რომელმაც მცხეთაში, რესტორან „მარანი ჰოლში" ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში ისროლა, აღკვეთის სახით გირაო შეეფარდა და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, კონსტანტინე ნატროშვილს 20.000 ლარიანი გირაო შეეფარდა. მოსამართლე სოფიო ლეჟავამ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

შეგახსენებთ, ინციდენტის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა. პროკურატურის ინფორმაციით ფაქტი 7 ივნისს მოხდა.

ნატროშვილს საგამოძიებო უწყებამ ბრალი სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარუდგინა, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენას გულისხმობს.

# რუსთავში 20 წლის გოგონა სექსუალურად შეავიწროვეს

რუსთავი-ისნის მიმართულებით მოძრავ ავტობუსში 20 წლის გოგო 50 წლამდე კაცმა სექსუალურად შეავიწროვა.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავთან" ახალგაზრდა ქალი, დ.მ. ყვება, თავდაპირველად ვერც კი გაიაზრა, რა მოხდა. ყველაფერს მას შემდეგ მიხვდა, რაც ავტობუსიდან ჩავიდა.

– დაახლოებით 9-ის ნახევარი იყო ან ცოტა ადრეც, შეიძლება, რუსთავიდან გამოვყევი ავტობუსს (20 ნომერს), სადაც უამრავი ხალხი იყო. ფეხზე დგომა მომიწია, ბარათის მისადები სადაცაა, იქ, გვერდით (მარცხნივ) ახალგაზრდა მამაკაცი მედგა, წინ მოხუცი კაცი, მარჯვნივ ბიჭი იდგა, როგორც მახსოვს. ეს კაცი, რომელიც წინ მედგა, საკმაოდ ახლოს იყო, მაგრამ არ მიმიქცევია ყურადღება, რადგან ბევრი ხალხი იყო. ამ კაცს ეცვა შავი ან მუქი ლურჯი ზედა, ოღონდ აშკარად დიდი იყო, წელს ქვემოთ ჰქონდა, რამდენიმე დამუხრუჭებაზე მომაწვა ეს კაცი.

ბოლოს უკვე ისანთან ვიყავით, რომ რამდენიმე შეხება ვიგრძენი, თითქოს რბილი რაღაც მეხებოდა ფეხთან, სუნთქვა შემეკრა და ვიფიქრე, რომ მეჩვენებოდა, ბოლოს რაღაცნაირად დაიწყო სუნთქვა და გაჩერდა ავტობუსიც. მაშინ მივხვდი, რაც მოხდა. რომ ჩამოვედით ავტობუსიდან მიყურებდა კიდეც, – განუცხადა „ინფო რუსთავს" გოგონამ.

მისივე თქმით, იგივე მამაკაცი ორი დღის შემდეგ კიდევ ერთი გოგოს შევიწროებას შეეცადა.



– 2 დღის მერე, საღამოს, ვბრუნდებოდი ისნიდან, გვერდით გოგო მომიჯდა, ქვედაბოლო ეცვა, სანამ გავიდოდა ავტობუსი, დავინახე ეს კაცი, ისევ ზედით ვიცანი, ამ გოგოს ჩაეძინა და, ახლოს რომ მოვიდა, ერთადერთი, რაც შევძელი, გავაღვიძე და ტელეფონში დავწერე, რომ ფრთხილად ყოფილიყო. ისე აკეთებდა, რომ ვერავინ ვერაფერს შეატყობდა, – ამბობს დ.მ.

დ.მ. აცხადებს, რომ მომხდარის შესახებ სამართალდამცავებს არ აცნობა, რადგან დამადასტურებელი ფაქტები არ ჰქონდა.

# 14 ნარკორეალიზატორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში 14 ნარკორეალიზატორი დააკავეს.



ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1967 წელს დაბადებული თ.ლ., 1972 წელს დაბადებული ა.მ., 1986 წელს დაბადებული მ.ჩ., 1977 წელს დაბადებული ი.ბ., 1975 წელს დაბადებული ზ.ლ., 1982 წელს დაბადებული დ.ჯ., 1995 წელს დაბადებული ა.კ., 1990 წელს დაბადებული გ.ა., 1980 წელს დაბადებული კ.ბ. (მეტსახელად „კოკინიჩი"), 1984 წელს დაბადებული გ.ს. (მეტსახელად „ლისოვიჩი"), 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.ფ. და უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1980 წელს დაბადებული ა.ჩ., 1982 წელს დაბადებული ს.გ. და 1981 წელს დაბადებული თ.მ.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები – „ჰეროინი", „ჰეროინის" შემცველი ფხვნილი, „ალფა პვპ" და „ბუპრენორფინი" ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ასევე ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები და სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული.

სამართალდამცველების მიერ მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ. პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღებისთვის დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-260-ე მუხლით, 260-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას, გასაღებასა და გასაღების მცდელობას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს უკომპრომისო ბრძოლას ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ. მხოლოდ მიმდინარე წელს, სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 88 ნარკორეალიზატორი დააკავეს და ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები", – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

# სააკაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო




დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების ჯგუფურად გაფლანგვაში ბრალდებულების, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის, თეიმურაზ ჯანაშიას სასამართლო პროცესი გადაიდო.

შემდეგი პროცესი 11 ივლისს, 11:00 საათზე ჩატარდება.

სხდომაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილი ვერ გამოცხადდა.

ამასთან, მან კლინიკიდან გამოგზავნილ განცხადებაში მიუთითა, რომ პროცესის მის გარეშე ჩატარებას არ ეთანხმებოდა.

სხდომას ესწრებოდა თეიმურაზ ჯანაშია.

ცნობისთვის, აღნიშნულ საქმეზე, რომელსაც საზოგადოება ე.წ. პიჯაკების საქმედ იცნობს, მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბრალდებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თეიმურაზ ჯანაშიაც. პროკურატურა ბრალდებულებს საბიუჯეტო თანხის დიდი ოდენობით – 9 მილიონი ლარის ჯგუფურად გაფლანგვას ედავება.

# მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტ ,,სარფში" კანონდარღვევის 2 ფაქტი აღიკვეთა.



აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, მებაჟე ოფიცრების მიერ, თურქეთის მოქალაქის რ.კ.-ს მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანისა და საქართველოს მოქალაქის ს.კ.-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა – 102,97 გრამი) გამოვლინდა.

„თურქეთის მოქალაქის არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულებამ 7.522.25 ლარი შეადგინა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით, 7.522.25 ლარით დაჯარიმდა, ხოლო საქართველოს მოქალაქის არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულებამ 2900.74 ლარი შეადგინა და, საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით შეეფარდა", – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ნიკა გვარამიას დაუსაბუთებელი განაჩენი

პირადი მოტივაცია სამართლებრივი დასაბუთების ნაცვლად და პოლიტიკური ანგარიშსწორება კონსტიტუციის დაცვის საპირისპიროდ – ეს არის მთავარი ტენდენციები, რომლებიც იურისტებმა, უფლებადამცველებმა და პოლიტიკოსებმა ნიკა გვარამიას საქმეში ამოიკითხეს.

სამოქალაქო საზოგადოებისთვის სულ უფრო აშკარა ხდება სასამართლო კლანის კონტურები, რომელმაც გააფთრებული ბრძოლა დაიწყო საკუთარი წევრის, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის გადასარჩენად. შეერთებული შტატების სანქცია გვარამიას საქმის მოსამართლისთვის გახდა სიგნალი კლანისთვის, რომ მისი არსებობის დღეები იწურება.

ახალი პოლიტიკური ინიციატივით ეს დრო კიდევ უფრო ახლოა.

„დროას" ლიდერი ასახელებს კლანის ყველაზე გავლენიან წევრებს, რომლებისთვისაც სანქციების დაწესება დემოკრატიის გადარჩენის ტოლფასი იქნება.

# საფრანგეთში ქართველი დედა და 2 მცირეწლოვანი შვილი სახლში დაიწვნენ

სოფია რაჭველმა ფეისბუქში დაწერა:

„წუხელ ღამით სტრასბურგში ქართველები დედა და ორი ბავშვი, 7-8 წლისები, დაიწვნენ სახლში. ძალიან სამწუხარო ამბავია. ღმერთმა გაანათლოს მათი სულები და დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!"

# რომის პაპი: „ნუ შევეჩვევით ცხოვრებას ისე, თითქოს ომი შორეული რამ იყოს“



რომის პაპმა ფრანცისკემ ხალხს მოუწოდა, არ დაივიწყონ უკრაინის ომი. ინფორმაციას სიენენი ავრცელებს.

15 ივნისს ვატიკანში გამართულ ყოველკვირეულ აუდიენციაზე პონტიფიკოსმა მრევლს მოუწოდა, იფიქრონ უკრაინის წამებულ ხალხზე.

– ნუ შევეჩვევით ცხოვრებას ისე, თითქოს ომი შორეული რამ იყოს. ჩვენი მეხსიერება, ჩვენი სიყვარული, ჩვენი ლოცვა, ჩვენი დახმარება ყოველთვის მიემართება ხალხს, ვინც ასე ძალიან იტანჯება და ვინც ჭეშმარიტ მოწამეობას ჩადის, – აღნიშნა კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა.

# პოდოლიაკი: „ბრიუსელო, ველოდებით იარაღთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას“



უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი აცხადებს, რომ უკრაინა ბრიუსელისგან იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ელოდება.

მისი თქმით, რუსეთისა და უკრაინის არტილერიის თანაფარდობა ზოგიერთ რაიონში: 10/1-ზეა.

„ფრონტის ხაზი 1000 კმ-ზე მეტია. ყოველდღიურად ვიღებ შეტყობინებას დამცველებისგან: „ჩვენ ვდგავართ, უბრალოდ, თქვით, როდის უნდა ველოდოთ იარაღს?“ ამ კითხვით მივმართავ რამშტეინის მონაწილეებს. ბრიუსელო, ჩვენ ველოდებით გადაწყვეტილებას“, – წერს პოდოლიაკი ტვიტერში.

შეგახსენებთ, ბრიუსელში 15 ივნისს უკრაინის დახმარების საკითხებზე საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 50-მდე ქვეყნის თავდაცვის უწყებების წარმომადგენლებმა მიიღეს.

# ზელენსკი: „რუსეთი მხოლოდ ჩვენი ქალაქებით არ არის დაინტერესებული“



უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ჩეხეთის პარლამენტისთვის ვირტუალურად მიმართვისას განაცხადა, რომ რუსეთის ტერიტორიული ამბიციები ვარშავიდან სოფიამდეა გადაჭიმული.

ამის შესახებ ინფორმაციას როიტერი ავრცელებს.

ამასთან, უკრაინის პრეზიდენტმა ევროკავშირს რუსეთის წინააღმდეგ უფრო მეტი სანქციების დაწესებისკენ მოუწოდა.

– რუსეთი მხოლოდ ჩვენი ქალაქებით: მარიუპოლით, სევეროდონეცკით, ხარკოვითა და კიევით არ არის დაინტერესებული. მისი ამბიციები მიმართულია ვარშავიდან სოფიამდე. როგორც წარსულში, რუსეთის უკრაინაში შეჭრა არის პირველი ნაბიჯი, რომელიც რუსეთის ხელმძღვანელობას სჭირდება, რომ სხვა ქვეყნებისკენ, სხვა ხალხის დაპყრობისკენ გზა გაეხსნას, – განაცხადა ზელენსკიმ.

# აშშ: „შესაძლებელია აღიკვეთოს „მაიმუნის ყვავილის“ გავრცელების პანდემიად გადაქცევა“



ბევრი გზა არსებობს იმისთვის, რომ „მაიმუნის ყვავილის“ პანდემიის თავიდან აცილება და გავრცელების გაკონტროლება შესაძლებელი იყოს, როგორიცაა, მაგალითად, კონტაქტების დადგენა, თუ საჭირო გახდა, ვაქცინაციის გამოყენება.

ამის შესახებ აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონული წარმომადგენლობის დირექტორმა ჩარლზ ვაიტეკმა თბილისში ჟურნალისტებს განუცხადა.

– ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას ყოველდღე ამოწმებენ, შესაძლებელია გაიმართოს შეხვედრებიც იმის გადასაწყვეტად, რა უნდა გაკეთდეს. ვფიქრობ, ბევრი მიზეზი არსებობს, რათა დაიმედებული ვიყოთ, რომ შესაძლებელია აღიკვეთოს მისი პანდემიად გადაქცევა, – აღნიშნა აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების წარმომადგენელმა.

# უკრაინის საზღვრის გასწვრივ მარცვლეულის შესანახი დროებითი ნაგებობები აშენდება

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, უკრაინის საზღვრის გასწვრივ, მათ შორის პოლონეთში, მარცვლეულის შესანახი დროებითი ნაგებობები აშენდება, რაც უკრაინიდან მარცვლეულის ექსპორტის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

– ვმუშაობ ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან, რათა უკრაინაში ჩარჩენილი 20 მილიონი ტონა მარცვლეული ბაზარზე გავიტანოთ და ხელი შევუწყოთ სურსათზე ფასების შემცირებას. ვაპირებთ ავაშენოთ დროებითი ნაგებობები უკრაინის საზღვრებზე, მათ შორის პოლონეთში, – განაცხადა ჯო ბაიდენმა. მისი თქმით, შეერთებული შტატები მუშაობს უკრაინიდან მარცვლეულის სარკინიგზო გზით გამოტანის გეგმაზე, მაგრამ უკრაინის სარკინიგზო ლიანდაგები განსხვავდება ევროპულისგან, ამიტომ მარცვლეული საზღვარზე სხვადასხვა მატარებელში უნდა გადაიტანონ.

ბაიდენმა განმარტა, რომ მარცვლეულის გადატანა თავდაპირველად შესაძლებელია უკრაინის რკინიგზის ვაგონებიდან მარცვლეულის შესანახ ახალ ნაგებობებში, შემდეგ კი – ევროპის სატვირთო ვაგონებში. მაგრამ ამას დრო სჭირდება. შეგახსენებთ, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრისა და შავი ზღვის პორტების ბლოკადის შემდეგ მარცვლეულის მიწოდება შეჩერდა და 20 მილიონ ტონაზე მეტი სილოსებშია ჩარჩენილი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ესეს ავტორს „როგორ მოვკლათ ქმარი“ მეუღლის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯა



მწერალ ნენსი კრემპტონ-ბროფის, რომელიც ავტორია ნაწარმოების „როგორ მოვკლათ ქმარი“, მეუღლის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. შესაბამისი გადაწყვეტილება ამერიკის ორეგონის შტატის სასამართლომ გამოიტანა.

71 წლის კრემპტონ-ბროფის სამუდამო პატიმრობა 25 წლის შემდეგ პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლებით მიესაჯა. 2022 წლის მაისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მწერალი საკუთარი მეუღლის დენიელ ბროფის სიკვდილში დამნაშავედ ცნო. ის მკერდში მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობისგან გარდაცვლილი იპოვეს. ქალი 2018 წლის 5 სექტემბერს მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრეს.

გამოძიება ვარაუდობს, რომ ბროფის ოჯახი სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა. მწერალმა ქალმა განიზრახა მეუღლის სიცოცხლის დაზღვევისთვის განკუთვნილი თანხა მიეღო და ამის გამო გადაწყვიტა მისი მოკვლა. 2011 წელს ის უძღვებოდა ბლოგს „როგორ მოვკლათ ქმარი“. სასამართლომ აღნიშნული ჩანაწერები არ გაითვალისწინა ქალისთვის განაჩენის გამოტანის დროს.

### ტახი პარკის თანამშრომელს თავს დაესხა და სერიოზული დაზიანებები მიაყენა



ამერიკის არიზონას შტატის ქალაქ კემპ-ვერდეს ველური ბუნების პარკში ტახი თავს დაესხა დაწესებულების თანამშრომელ ქალს.

ახალგაზრდა ტახი, სახელად ჰამილტონი, ქალს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის მის ვოლიერს ალაგებდა. ცხოველმა ქალი ეშვებზე წამოაგო და რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ხელებსა და ფეხებზე.

დაშავებული ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ექიმებმა სათანადო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ისინი თვლიან, რომ ქალი სრულად გამოჯანმრთელდება და მიყენებულ იარებს ბოლომდე მოიშუშებს.



# უკრაინელები ბოიკოტს აპირებენ



უკრაინის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა მიხაილო კოშლიაკმა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის (იჯფ) პრეზიდენტს ოფიციალური წერილით მიმართა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ უკრაინელი ძიუდოისტები იჯფ-ის მიერ ორგანიზებულ ტურნირებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

ამის მიზეზი რუსი და ბელარუსი სპორტსმენების შეჯიბრებებზე დაშვებაა. როგორც მოგეხსენებათ, რუს და ბელარუს ძიუდოისტებს მონღოლეთის დედაქალაქ ულანბატორის გრან პრიზე ნეიტრალური სტატუსით გამოსვლის უფლება მისცეს.

უკრაინელთა პროტესტი სწორედ ამან განაპირობა. ჯერ იყო და მათმა ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა ძიუდოისტმა, ქართული ფესვების მქონე გიორგი ზანთარაიამ განაცხადა, რომ თუ ასე მოხდება, ყველა ტიტულს დათმობს, რომლებიც კი ძიუდოში მოუპოვებია. ამჯერად კი, კოშლიაკის განცხადებით, უკრაინელების ბოიკოტი მანამ არ შეწყდება, სანამ რუს და ბელარუს სპორტსმენებს ტურნირებზე მონაწილეობის მიღებას არ აუკრძალავენ.

**მიხაილო კოშლიაკი:**

– დღეს 110-ე დღეა, რაც ჩვენს სახელმწიფოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სრულმასშტაბიანი ომი მიმდინარეობს. რუსების ხელით ყოველდღე 200 უკრაინელი იღუპება და რუსებმა ძიუდოს სამი მწვრთნელი მოკლეს, რომლებიც მშვიდობიანი მოქალაქეები იყვნენ, ქვეყანა კი დაახლოებით შვიდმა მილიონმა ადამიანმა დატოვა.

ომის დაწყებისას უკრაინის ძიუდოს ფედერაციაში 30.000 წევრი ირიცხებოდა. ამ მომენტისთვის მათ 80%-ს არ აქვს საშუალება, სპორტული საქმიანობა გააგრძელოს, რაც რუსების მიერ განხორციელებული ოკუპაციისა და 500 სპორტული კომპლექსის განადგურების გამო ხდება.

რუსეთისა და ბელარუსის ნაკრებების წარმომადგენლები აგრესორი ქვეყნების ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. სპორტსმენები, მწვრთნელები და ნაკრებების პერსონალი ხელფასებს აგრესორი ქვეყნების სპორტისა და თავდაცვის სამინისტროდანაც კი იღებენ, ეს კი მათ ნეიტრალური სპორტსმენის სტატუსის ქონის უფლებას არ აძლევს.

# ფიფა წესებს ცვლის



ფიფა აქტიურად განიხილავს საფეხბურთო წესების შეცვლას და არსენალის ლეგენდარული მწვრთნელის არსენ ვენგერის რამდენიმე წინადადებას განიხილავს. ვენგერი ფიფაში ფეხბურთის გლობალური განვითარების ჯგუფს ხელმძღვანელობს და პირველი, რასაც დაჟინებით გაიძახის, აუტიდან თამაშში ბურთის ფეხით შეყვანაა.

ფიფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს თქმით, აუცილებელია მოიძებნოს გზები საიმისოდ, რომ ბურთი რაც შეიძლება დიდხანს იყოს თამაშში. ვენგერის ჯგუფის მონაცემებზე დაყრდნობით, ინფანტინო ამტკიცებს, რომ აუტის ხელით მოწოდება თამაშს აფერხებს.

ასევე დასძენს, რომ წინადადება განხილული იქნება ფეხბურთის წესების დადგენის საერთაშორისო ორგანიზაციის 136-ე ყოველწლიურ შეკრებაზე, რის შემდეგაც ცვლილებამ პრაქტიკული გამოცდა უნდა გაიაროს.

ფეხბურთის წესების დადგენის საერთაშორისო ორგანიზაციის ბოლო შეკრებაზე უკვე დაკანონდა, რომ გუნდებს კონკრეტული მატჩის ძირითად დროში 5 შეცვლა შეუძლიათ.

სხვათა შორის, პრემიერლიგაში მომავალი სეზონიდან ისედაც აპირებდნენ 5 ცვლილების შემოღებას, რაც პანდემიის შემდეგ უმრავლეს ლიგებში მოქმედებდა.

ფეხბურთი ვითარდება და მას აუცილებლად სჭირდება ცვლილებები – ასეთია ფიფას აზრი და უკვე მუშაობენ ფეხბურთში „სუფთა დროის“ შემოღებაზე, ანუ როგორც კალათბურთში, ჰოკეისა და სხვა სახეობებშია.

**ჯანი ინფანტინო:**

– ვმუშაობთ ამ საკითხზე. საჭიროა რაციონალური გადაწყვეტილება, იმიტომ რომ თამაში, რომელიც გათვლილია საათ-ნახევარზე, ფაქტობრივად, 46-48 წუთი არ უნდა გაგრძელდეს. შევიტანთ წინადადებებს, რომელსაც შემდეგ კომისია გააანალიზებს. ვიცი, სკეპტიკურად განწყობილიც ბევრი იქნება, მაგრამ ფეხბურთის წესების დადგენის საერთაშორისო ორგანიზაცია ნებისმიერი დისკუსიისთვის ღიაა, რათა ფეხბურთი განვითარდეს.

# წილისყრის შემდეგი წილისყრა

უეფას შტაბ-ბინაში ევროტურნირების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის შემდეგ გუნდებმა გაარკვიეს, თუ ვინ შეხვდებათ მომდევნო ეტაპზე. ჩემპიონთა ლიგაში ბათუმის დინამოსა და ბრატისლავის სლოვანის წყვილში გამარჯვებული მეტოქე უნგრეთის ჩემპიონ ფერენცვაროშსა და ყაზახურ ტობოლს შორის უმჯობესი იქნება. დამარცხებული ავტომატურად ევროპის ლიგაზე გადაინაცვლებს, სადაც მეტოქე აზერბაიჯანულ ყარაბახსა და პოლონურ ლეხს შორის დამარცხებული იქნება.

კონფერენს ლიგაში არანაკლებ რთული სიტუაციაა:

თუ თბილისის დინამო შემდეგ ეტაპზე გავიდა, მეტოქე სომხური არარატ-არმენია იქნება.

მეტ-ნაკლებად გაუმართლა გორის დილას, რომელიც ფინური კუპსსის დამარცხების შემთხვევაში ლიეტუვურ პანევეჟისსა და მოლდოვურ მილსამს შორის გამარჯვებულს შეხვდება. საბურთალოს კი შემდეგ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში ურთულესი მეტოქე ერგო – რუმინული სტიაუა.

# შვიდქალას მეშვიდე

საქართველოს შვიდქალა ნაკრებმა ზაგრებში გამართულ რაგბი ევროპის ჩემპიონატის „ალაფის“ პირველ ეტაპზე 6-დან 3 თამაში მოიგო, 2-ში დასანანი მარცხი განიცადა და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა.



წინა წლებთან შედარებით, ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხი უკეთესი იყო და, რომ არა უიღბლობა, გოგონები მოწინავე ოთხეულში შევიდოდნენ.

ჯგუფური ეტაპის შეხვედრებში საქართველოს შვიდქალამ 2 გამარჯვება მოიპოვა. ჯაბა მალაღურაძის შეგირდებმა ჯერ უნგრეთი 20:12 დაამარცხეს, შემდეგ ინგლისთან 0:52 დამარცხდნენ, ბოლოს მოლდოვას 10:0 მოუგეს და ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავეს.

მეოთხედფინალში მეტოქედ პორტუგალია გვერგო. მეტოქეებმა 3-3 ლელო გაიტანეს, მაგრამ პორტუგალიამ 2 გარდასახა, ჩვენ – ერთით ნაკლები და მეტოქემ 19:17 იმარჯვა.

მე-7 ადგილისთვის გოგონებმა ნორვეგიას უშანსოდ სძლიეს – 6 ლელო გაიტანეს, 3 გარდასახეს და 36:7 იმარჯვეს.

ახლა შვიდქალა უნგრეთში გადაინაცვლებს, სადაც „ალაფის“ მე-2 ეტაპი გაიმართება. მთავარი მწვრთნელის, ჯაბა მალაღურაძის თქმით, იქ გუნდი უკეთესი ადგილის დასაკავებლად იბრძოლებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### ახალი ბიკინები პოპულარული გახდა

სტილისტებმა მირანდა ჰოლდერმა და როშელ უაიტმა ახალი, ძნელად შესამჩნევი ბიკინები ახალ ტრენდად გამოაცხადეს.

ჰოლდერის თქმით, საცურაო კოსტიუმის ღია ფასონები, რომლებიც აშიშვლებენ თეძოებს, დუნდულებს და მკერდის უდიდეს ნაწილს, ცნობილი სახეების წყალობით მეტად პოპულარული



გახდა. მაგალითად, ასეთ საცურაო კოსტიუმებს ხშირად ირჩევენ ბრიტანული რეალითი შოუს „სიყვარულის კუნძულის“ მონაწილეები. გარდა ამისა, კვლავინდებურად მათ ანიჭებენ უპირატესობას მოდელები ემილიას რატაკოვსკი და დემი როუზი, ასევე, ბიზნესვუმენი კიმ კარდაშიანი. უაიტის თქმით, აღნიშნული ტენდენცია გაჭიანურებული პანდემიის ფონზე სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს, ვინაიდან ხალხი დაიღალა საშინაო ტანსაცმლისგან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# გოგა ბითაძე: „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საქართველომ ჩვენით იამაყოს“

ფიბას ვებგვერდი მომავალი ევრობასკეტისთვის მზადების შესახებ სტატიებს, ინტერვიუებსა და კალათბურთელების გაცნობას ადრიანად შეუდგა. ამჯერად საქართველოს ნაკრების კალათბურთელ გოგა ბითაძის დრო დადგა, რომელმაც საკმაოდ ვრცლად ისაუბრა.

ამ ინტერვიუში საინტერესო ის არის, რომ ინდიანა პეისერსის ცენტრმა ისიც დაადასტურა, რომ ეროვნულ გუნდს მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის მატჩებშიც დაეხმარება.

ვებგვერდის შესავალში წერია, რომ ბითაძეს საქართველოს ნაკრების ხმაურიანი გამოწვევის სჯერა. 2022 წლის ევრობასკეტი, რომლის ერთ-ერთი მასპინძელიც საქართველოს იქნება, ამისთვის მზად არის. ბითაძე მოახლოებულ შეხვედრებს მოუთმენლად ელის.

**გოგა ბითაძე:**

– ეს ჩვენი ქვეყნისთვის გამორჩეული მოვლენაა. აქამდე ევრობასკეტისთვის არასდროს გვიმასპინძლია. ეს ფანტასტიკური ამბავი იქნება როგორც კალათბურთელებისთვის, ასევე სრულიად საქართველოსთვის. გვყავს ძალიან ნიჭიერი კალათბურთელები და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა თანამემამულეებმა ჩვენით იამაყონ. ნამდვილად გაგვაჩნია იმის პოტენციალი და ნიჭი, რათა ბევრ ძლიერ ნაკრებს ვაჯობოთ. ამის მტკიცედ მჯერა და ერთი სული მაქვს, ტურნირი როდის დაიწყება. ეს ყველასთვის დიდი გამოცდილება იქნება.

ბითაძე უკვე სამი წელია ინდიანა პეისერსში თამაშობს. სეზონი უკვე დასრულებულია და შეუძლია, სანაკრებო ბატალიებზე გადაერთოს. დიდ ტურნირზე შინაური კედლების წინაშე თამაში დამატებითი მოტივაციაა. 22 წლის კალათბურთელს იმედი აქვს, რომ საქართველოს ნაკრებს ქომაგებისგან განსაკუთრებული მხარდაჭერა ექნება.

– ჩვენი მიზანი ჯგუფურ ეტაპზე რაც შეიძლება ბევრი მატჩის მოგებაა, რაშიც ქართველი გულშემატკივარიც უნდა დაგვეხმაროს. ეს ნამდვილად იქნება იქსფაქტორი. მათი გვერდში დგომა ძალიან დაგვეხმარება. თუ საუკეთესო თვისებების წარმოჩენას შევძლებთ, შინ ყველას დამარცხება შეგვიძლია. უშანსოდ არც ფლეი ოფში ვიქნებით, რადგანაც ამ ეტაპზე უკვე ყველას ყველასთან გამარჯვება შეუძლია.

საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი 2011 წელს ჰქონდა და ახლა ზედიზედ მე-5 ევრობასკეტისთვის ემზადება, ამჯერად უკვე ერთ-ერთი მასპინძლის რანგში.

საქართველოს ნაკრების საუკეთესო შედეგი – მე-11 ადგილი სწორედ 2011 წლის ტურნირს უკავშირდება, თუმცა ჯერაც არ მოუგიათ რომელიმე ჩემპიონატზე 2 მატჩზე მეტი.

დიდი შანსია, რომ ეს სტატისტიკა სწორედ ამ ზაფხულს შეიცვალოს, მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლა და ფლეი ოფში თამაში გადაწყვეტილი აქვს. ეს იოლი ნამდვილად არ იქნება, რადგან ა ჯგუფში, რომელსაც თბილისი მასპინძლობს, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის გარდა, თურქეთი, ბელგია, ბულგარეთი და ჩერნოგორია ითამაშებენ.




– ნამდვილად რთული ჯგუფია. ყველა ნაკრები კონკურენტუნარიანია და საერთოდაც ამ რანგის ტურნირებზე სუსტი გუნდები აღარ არსებობენ. ისეთი მოლოდინი მაქვს, რომ ამ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატზე ნბა-ს ბევრ კალათბურთელს ვიხილავთ და ეს ყველასთვის დიდი გამოწვევა იქნება. ყველაფრის გაღებას ვაპირებთ, რათა შეჯიბრებაზე რაც შეიძლება წინ წავიდეთ. ჩემი აზრით, უკვე ჯგუფურ ეტაპზე ძლიერ მეტოქეებთან თამაში კარგიც არის, რადგანაც შემდეგი რაუნდისთვის უკეთ მოვემზადებით. თავიდანვე ხვდები, რა წინააღმდეგობის დაძლევა მოგიწევს და სირთულეებისაც აღარ გეშინია.

ბითაძემ ევრობასკეტი 2017 წლის ტრავმის გამო გამოტოვა, ახლანდელ საქართველოს ნაკრებში მისი ჩართვა კი კიდევ უფრო გააძლიერებს ისედაც გამორჩეულ წინა ხაზს.

– ცხადია, რომ გუნდის სიმაღლეს დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ნაკრებში ამ მხრივ მართლაც კარგი სიტუაციაა. სანდრო მამუკელაშვილს, თოკო შენგელიას, გიორგი შერმადინსა და მე დიდი სამუშაოს შესრულება შეგვიძლია – ფარის დაცვაც, მოხსნებზე მუშაობაც და სროლაც. ამას გარდა, ჩვენს მცველებსაც კარგი სროლა აქვთ, ახალგაზრდა რატი ანდრონიკაშვილს დაცვაც მაგრად ეხერხება. ვფიქრობ, ტალანტისა და გამოცდილების კარგი ნაზავი გვაქვს. ამ შემთხვევაში, გიორგისა და თოკოს ვგულისხმობ. გუნდში ასეთი კალათბურთელების ყოფნა ნამდვილად დიდი ბონუსია.

ევრობასკეტამდე საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანია, წარმატებული სვლა განაგრძოს მისთვის ისტორიული მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისკენ. ქართველმა კალათბურთელებმა საკვალიფიკაციო ციკლი კარგად დაიწყეს და ბითაძეს იმედი აქვს, რომ ისიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მომავალი ფანჯრის დროს, რომელიც სტარტს 30 ივნისიდან აიღებს.

– ყოველთვის, როდესაც ამის შანსი მაქვს, ვცდილობ, ჩემს ქვეყანას დავეხმარო. ჩემი ოცნებაა, რაც შეიძლება მეტ სანაკრებო ტურნირზე ვითამაშო, იქნება ეს ევრობასკეტი, მსოფლიოს ჩემპიონატი თუ ოლიმპიური თამაშები. ამიტომ საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარს არასდროს ვამბობ. მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლითა და აგვისტოში დაგეგმილი კიდევ 2 მატჩის წყალობით საშუალება გვეძლევა, ევროპის ჩემპიონატის მატჩებს უკეთ მომზადებულები შევხვდეთ.

შეგახსენებთ, რომ მომავალი ევროპირველობა 1-18 სექტემბერსაა დაგეგმილი და, თბილისის გარდა, მასპინძელი ქალაქები პრაღა (ჩეხეთი), კიოლნი, ბერლინი (ორივეგერმანია) და მილანი (იტალია) არიან. ტურნირის რეგლამენტის თანახმად, 4 ექვსგუნდიანი ჯგუფიდან 4-4 საუკეთესო ფლეი ოფში გავა და თამაშს მერვედფინალიდან გააგრძელებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

### ანზორ გულდამაშვილის ხსოვნა



გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ანზორ გულდამაშვილს მიმდინარე წლის 16 ივნისს შეუსრულდებოდა დაბადებიდან 90 წელი. ანზორ გულდამაშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან. მისი ხელმძღვანელობით სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი იონური იმპლანტაციის ლაბორატორია, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებას – იონურ ლეგირებას. აღნიშნული სამუშაოების დაწყება განპირობებული იყო ინსტიტუტში თერმოელექტრული და თერმოემისიური ხელსაწყოთმშენებლობის საკითხების ფართო გაშლით, რომელიც მოითხოვდა განსაზღვრული თვისებების მაღალეფექტურ მასალებს, რომელთა მიღება სხვა ტექნოლოგიებით შეუძლებელი იყო. ფართო კვლევები მიმდინარეობდა ძირითადად იონებით იმპლანტირებული მასალების ელექტროფიზიკური, ფიზიკურ-მექანიკური და სხვა თვისებების შესასწავლად, ტექნოლოგიის ოპტიმიზაციის მიზნით და მასალების შერჩევისათვის ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკისა და ნახევარგამტარული ხელსაწყოთმშენებლობისათვის, სითბური და ბირთვული გამოსხივების ელექტრულ ენერგიად გარდამქმნელებისათვის, ატომური მეცნიერებისა და ტექნიკისათვის. პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში შესწავლილ იქნა ბორის იონების კანალირების მოვლენა და მაღალენერგეტიკული იონების კრისტალებთან ურთიერთქმედების ორიენტაციული ეფექტების თავისებურებანი.

იონური იმპლანტაციის პროცესში მყარი სხეულების სტრუქტურის ცვლილებების დადგენილმა კანონზომიერებებმა გამოავლინეს გარდამავალი მეცნიერების მოლიბდენის, ნიობიუმისა და ვოლფრამის ემისიურ-ადსორბციული და მექანიკური თვისებების მართვის შესაძლებლობები.

ანზორ გულდამაშვილის უშუალო მონაწილეობით ინსტიტუტში სილიციუმის ფუძეზე შეიქმნა p-n გადასასვლელიანი დიოდი, განხორციელდა ოქსიდებისა და სილიციუმის ნიტრიდების სინთეზი მაღალი გამრღვევი ძაბვებითა და მაღალი დიელექტრიკული შეღწევადობით.

ბატონი ანზორ გულდამაშვილის სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესში განხორციელებულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებაში.

ბატონი ანზორ გულდამაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მოსწავლეების მეხსიერებაში.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

### უეფას გეგმაში ახალი ტურნირი აქვს

თუ ფიფა წესების შეცვლას აპირებს, უეფას ტოპკლუბების მონაწილეობით ახალი ტურნირის ჩატარება აქვს დაგეგმილი. ფრანგული მედია ამ თემაზე აქტიურად წერს და ვარაუდობს, რომ ეს ტურნირი ზაფხულში გაიმართება.

სავარაუდოდ, ეს 2024 წლიდან მოხდება და ოთხთა ფინალის ფორმატით ჩატარდება – ნახევარფინალი და ფინალი.

ამ 4 გუნდიდან ერთი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული იქნება, ხოლო რა პრინციპით შეირჩევა დანარჩენი 3 მონაწილე, ჯერჯერობით უცნობია.

რადგან ზაფხულობით ევროპის ტოპკლუბები დიდ დროს აშშ-ში ატარებენ, ამიტომ პირველი ტურნირი ამერიკაშივე გაიმართება.

იქნება კიდევ ერთი ცვლილება: ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული სუპერთასზე აღარ ითამაშებს. თუმცა ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო სუპერთასის გაუქმებას სულაც არ აპირებს – 2024 წლიდან ამ ჯილდოს ევროპისა და კონფერენსლიგის გამარჯვებულები გაითამაშებენ.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ნანა წულაია:** მქონდა ქალური პრობლემები, ასევე მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**ვახო წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**რეზო ნარმანია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მელლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**თამრიკო მხეიძე:** 79 წლისაა ჩემი მეუღლე, წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ქილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. როკჯგუფ „ქუინის“ ლიდერი; 2. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 3. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 4. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 5. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი; 10. ამერიკული ჯიპი; 11. ნადირისგან დამცავი ძაღლის ეკლებიანი ყელსაბამი; 12. გემზე, კაპიტნის თანაშემწე, უმცროსი მეთაური; 13. თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; 16. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. ბულგარეთის პირველი მეფე; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 23. საკვების შესაფუთად გამოყენებული, ფერადი ლითონის თხელი ფურცლები.

**თარაზულად:** 6. ბოკაჩოს რომანი; 7. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 8. წავისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 9. შეძენილი ჭკუასუსტობა; 14. მიწის სათხრელი მანქანა; 15. გრძნობა, ნერვის დაბოლოება, რომელიც რეაგირებს გაღიზიანებაზე; 18. აღმოსავლურ საკრავზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 20. მოხალისეთა ჯარი; 22. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 24. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 25. სპილენძის შემცველი მწვანე, ხასხასა მინერალი; 26. ალექსანდრე ყაზბეგის რომანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დოჟი; 2. ლარნი; 3. ირისი; 4. ნამყო; 5. ცეხურა; 6. ძეფირელი; 8. კახიაშვილი; 10. ტრუსკავეცი; 11. კარდინალი; 14. საბვეი; 15. დევიზი; 16. კატაი.

**თარაზულად:** 1. დუბლინი; 4. ნუცუბიძე; 7. ჟიური; 9. კინტო; 12. ბაზაძე; 13. შხარა; 14. სკეტჩი; 17. ავღანი; 18. დიელექტრიკი; 19. კიელინი; 20. რიკოთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჩედვიკი; 2. საფირონი; 3. დიპლომატი; 4. პრატერი; 5. მანეგრეიმი; 10. მალაგა; 11. ფარავანი; 12. ბოდერი; 13. ლეკლერი; 16. მონტესუმა; 17. კიმიგაიო; 19. ავლაბარი; 21. გესლი; 23. აჭარა.

**თარაზულად:** 6. დეგრადაცია; 7. კრიტიკა; 8. წიქარა; 9. კორონერი; 14. დეკალოგი; 15. დინოზავრი; 18. კენია; 20. ლიპტონი; 22. პიანინო; 24. ბეზოსი; 25. ჩურჩხელა; 26. კარტიე.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.9436 |
| ევრო | 3.0855 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.5609 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2302 |

**ამინდის პროგნოზი 16 ივნისისათვის**




## პიკეს ბარსელონის დატოვება არ სურს



ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჟერარ პიკემ შესაძლოა ბარსელონა დატოვოს, რადგან ხავი მომავალ სეზონში მასზე აქცენტის გაკეთებას არ აპირებს. მიუხედავად ამისა, პიკემ უკვე გააკეთა კომენტარი ამ თემაზე და თქვა, რომ მას ბარსელონის დატოვება არ სურს:

– ბარსელონაში რამდენიმე წელიწადი შემიძლია მაღალ დონეზე თამაში და აქედან წასვლაზე არ ვფიქრობ. იმედი მაქვს, რომ ხავისთან საერთო ენას გამოვნახავ.

## ვინიციუს ჟუნიორი: „მომავალ სეზონში რეალი კიდევ უფრო ძლიერი იქნება“



მადრიდის რეალის ბრაზილიელმა ფორვარდმა ვინიციუს ჟუნიორმა ერთ-ერთ ინტერვიუში თავის გუნდზე ილაპარაკა და თქვა, რომ რეალი მომავალ სეზონში კიდევ უფრო ძლიერი იქნება და ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს:

– რეალმა წელს გულშემატკივარი გაახარა და, დამერწმუნეთ, რომ მომავალ სეზონში ჩვენ იმავეს გავაკეთებთ. ვამაყობ, რომ ასეთი კოლექტივის წევრი ვარ და გუნდისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

## ზიდანი პსჟ-ზე კომენტარს არ აკეთებს



პსჟ-ს სავარაუდო მომავალი მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს და ჯერჯერობით უცნობია, გახდება თუ არა ის პსჟ-ს დამრიგებელი.

ეს ინფორმაცია ფრანგულ მედიაში აქტიურად ვრცელდება და პარიზელები ისეთ მწვრთნელს ეძებენ, რომელსაც ევროპაში დიდი გამოცდილება აქვს. ზიდანი რეალიდან წამოსვლის შემდეგ უმუშევარია და, როგორც მან თქვა, ფეხბურთისგან ისვენებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კახა კინწურაშვილი: „ჩვენს ქვეყანაში ყოველი მე-5 ბავშვი სიღარიბეში ცხოვრობს“



მსახიობი კახა კინწურაშვილი ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე საჯარო წერილს აქვეყნებს:

– ჩვენს ქვეყანაში ყოველი მე-5 ბავშვი სიღარიბეში ცხოვრობს, მათი ნაწილი – სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. ჩვენს მოქალაქეებს უკიდურეს გაჭირვებაში უწევთ ცხოვრება, ნაწილი გარბის. ამ დროს ქვეყანას ოლიგარქი მართავს და ამ ყველაფერზე ხელისუფლება ამბობს, დემოკრატია და სიმშვიდე გვაქვსო?! თუ მათ მამა– მარჩენალს რამე საფრთხე შეექმნა, მზად არიან, ქვეყნის ინტერესები გადააყოლონ და ყველას უკეთესი მომავლის შესაძლებლობა წაგვართვან.

მარტო ოპოზიციის დანაშაულებს ხედავდე და ამ რეალობას – არა, ეს უკვე არჩევანია, რომლითაც იდებილებ თავს, ღალატობ საკუთარ სინდისს და წირავ თაობებს.

16 და 20 ივნისის აქციას, წესით, ხელისუფლება უნდა აწყობდეს ხალხთან ერთად, რომ დაანახოს მსოფლიოს თავისი არჩევანი, მაგრამ, ეტყობა, სხვა „ტრიუკებზე“ ფიქრობენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

სადედამთილომ საპატარძლო საქორწინო კაბაში გამოწყობილი შეათვალიერა და ეუბნება:

– ისე, რა კაბა გაცვია.

– არა უშავს, შემდეგ ქორწილში უკეთესი მეცმევა!

●●●

მშობლებმა პატარა ბავშვს დაბადების დღეზე დოლი აჩუქეს. ერთი კვირის შემდეგ მეზობელი მამაკაცი ეუბნება:

– მეგობარო, თუ იცი, შიგნით რა დევს?!

●●●

დილით სამსახურში ერთი მედდა მეორეს ეკითხება:

– თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

– დილით, ქმარმა რომ გაიღვიძა, შევეკითხე: „რომელი პალატიდან ხარ?“...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ქმარს არასოდეს, არაფერში ვეწინააღმდეგები.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ვიცი, მაინც ისე იქნება, როგორც მე მინდა.

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– რომელი საათია?

– ორი... რა, შენ საათი არ გაქვს?

– ეეჰ, მაგარი საათი მქონდა, დარტყმის საწინააღმდეგო, წყალგაუმტარი, მტვრისგან დამცავი...

– მერე, დაკარგე?

– არა, დაიწვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქართველი მხატვრები დრეზდენში მიიწვიეს



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებმა გვანცა აგირბამ და ილია დავარაშვილმა გაიმარჯვეს კონკურსში და 2022 წლის ივლისში დრეზდენის საერთაშორისო პლენერზე მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებიან, სადაც ისინი გერმანელ მხატვრებთან ერთად შექმნიან ფერწერულ ტილოებს, ჩაერთვებიან სხვადასხვა სახელოვნებო აქტივობასა და გამოფენაში „კულტურა. სინქრონი“.

პროექტის დასასრულს კი წარდგებიან „კანალეტოს“ კონკურსზე დრეზდენის საერთაშორისო სახელოვნებო ფესტივალის ფარგლებში. კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალის უმთავრესი კომპონენტია საერთაშორისო პლენერი და გამოფენა „კულტურა. სინქრონი“, რომელიც დაფუძნებულია გერმანიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი მხატვრის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო პროფესორის ალექსანდრე-ალეკო ადამიას მიერ და რომლის ინიციატივითაც მისი სახელობის სტიპენდიის ფარგლებში 2013 წლიდან სამხატვრო აკადემიის სტუდენტები არიან ჩართულნი. მისი გარდაცვალების შემდეგ, მხატვრის სიცოცხლეშივე მიღებული გადაწყვეტილებით, პროექტი გადავიდა ალეკო ადამიას ყოფილი სტუდენტების – მარიამ შაქარაშვილისა და ბექა საყვარელიძის მფლობელობაში, რომლებიც ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მოწვეული პედაგოგები არიან.

## „ლელა ვეფხვაძე იძულებულია იშიმშილოს, რომ სამართალი აღსრულდეს!“



ლელა ვეფხვაძე უსინათლო მომღერალი და 9 აპრილის გმირია. ის რამდენიმე თვის წინ ღირსების ორდენით დაჯილდოვდა, ახლა კი იძულებულია იშიმშილოს, რომ სამართალი აღსრულდეს.

**მარი ნანა მახარაძე:**

– კიდევ რამდენი ომი გაქვს მოსაგები, ჩემო ქვეყანა?!

თავისუფლების ხმა – ჩემი ლელა

14 ივნისი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეა, რომელსაც საქართველო უსინათლო მოქალაქეების სამსახურიდან გამოყრითა და მათი შიმშილის ზღვარზე დატოვებით ხვდება, რომელთა შორისაა ჩემი მეგობარი, 9 აპრილის გმირი, 2 თვის წინ ღირსების ორდენით დაჯილდოებული ლელა ვეფხვაძე.

შიმშილისთვის განწირული ჩვენი უსინათლო მოქალაქეები, კულტურის დამსახურებული მუშაკები, მთავრობის კანცელარიის წინ მართავენ აქციას თავიანთი უფლებების დაცვისა და „უსინათლოთა კავშირის“ მხრიდან თანხების სავარაუდოდ მითვისების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარების მოთხოვნით.

სამარცხვინოა, ლელა ვეფხვაძე იძულებულია იშიმშილოს, რომ სამართალი აღსრულდეს!

მომავალ წლის 9 აპრილამდე და „მადლობა თავისუფლებისთვის“ ძახილამდე არის ყოველდღიური რუტინა და სიდუხჭირე.

ამ ქვეყანას გადახადეთ ჩალა!

## „ვანოს შოუ“ დაიხურა




ტელეკომპანია „მთავარ არხზე“ ვანო ჯავახიშვილის იუმორისტული გადაცემა „ვანოს შოუ“ დაიხურა.

ინფორმაცია ამის შესახებ ნანუკა ჟორჟოლიანმა გაავრცელა:

– ვატყობ, ახლა ტყუილი და მართალი ერთმანეთში აირევა და, ზოგადად, ასეთ მომენტებში საჭიროა გახსნილობა და მოგიყვებით დეტალურად, რა ხდება ჩვენს თავს:

„მთავარი“ შედგებოდა სამი ოფისისგან:

1. ჩუბინაშვილის ოფისი, სადაც მხოლოდ პოლიტიკური გადაცემებია, ნიუსი და დღის გადაცემები;

2. ბენტლის ოფისი, სადაც ასევე პოლიტიკური გადაცემებია, ოღონდ საღამოს ეთერები.

3. ვაშლიჯვრის ოფისი, საიდანაც გადიოდა ფროდაქშენის გადაცემები. შესაბამისად, აქედან გადიოდა ნიკას გადაცემაც, დილაც, ვანოც, მეც, ლელაც, ექიმებიც.

ერთად ვერ ვეტეოდით ვერსად, ტერიტორიის სიმცირიდან გამომდინარე. ეს ყველაფერი ზრდიდა ხარჯს. ტექნიკა ყველგან ნაქირავები იდგა, განათება, სტუდიების აწყობა...

ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, დაიხურა ვაშლიჯვარი.

ანუ სტუდია დაიხურა. დაგაბნევთ ალბათ ის, რომ დარჩა თითქმის ყველა გადაცემა, ქეთის სამზარეულო, პუტკუნები, ექიმები, ლელა. არხის ფინანსური მენეჯერი ამბობს, რომ ამ გადაცემებს სპონსორებით შენახვის რესურსი აქვთ, ასევე, შეუძლიათ სტუდიის გარეთ გასვლა, ანუ მათთვის აუცილებელი არაა ვაშლიჯვრის ოფისი.

დაიხურა ვანო. ამ თემაზე კომენტარს მე არ გავაკეთებ, ჯობია, ვანოსგან მიიღოთ სრული ინფორმაცია. ერთადერთი, რაც ვანოზე შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ ვანომ საკუთარი ხელით აშენა ეს არხი. მე მივიღე პასუხი, რომ სპონსორის მოძიების შემთხვევაში, ვანოს გადაცემა აუცილებლად გავა ეთერში.

ჩემი გადაცემაც დაიხურა. უბრალოდ, ჩვენ გვყავდა სპონსორები. უნდა დავამატოთ კიდევ ერთი, რომ ვიარსებოთ.

დილაც დარჩა, მაგრამ – სხვა ფორმატით. უკვე ნახეთ კიდეც ეთერში.

ტყუილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოქუაშვილმა შენობიდან გაგვიშვა. არა, მეგობრებო, პირიქით, ეს კაცი მხოლოდ გვეხმარება. უბრალოდ, სტუდიებს ველარ ინახავს არხი და ამიტომ იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება. ოფისები ისევ ვაშლიჯვარში დაგვრჩება.

ანუ ახლა ვიბრძვით გადარჩენისთვის და გადავრჩებით კიდეც. ყველაფერს ვაკეთებთ ამისთვის. მაგრამ ჩვენი გადარჩენა ვანოს გარეშე ძალიან უსამართლო იქნება, ამიტომ მე პირადად ყველაფერს გავაკეთებ, რომ ვანოც და მისი გუნდიც ჩვენთან ერთად იყოს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

16 ივნისისათვის



**ვერძი** – ვარსკვლავები გაფრთხილებენ, იყავით წინდახედული და დაფიქრებული. ერიდეთ უსარგებლო კონტაქტებსა და აქტიურობას. **კურო** – მშვენიერი საშუალება გეძლევათ თვითდამკვიდრებისათვის. ნებისმიერი კაპიტალდაბანდება გაამართლებს. **ტყუპები** – ყოველგვარი საქმე გადადეთ. განმარტოვდით და დაისვენეთ. ყოველგვარი კონტაქტი ნეგატიურია. **კირჩხიბი** – ოპტიმისტური დღეა. იყავით თავდაჯერებული. ახალი ნაცნობობა კმაყოფილებას მოგგვრით. **ლომი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უყოყმანოდ მიიღეთ. რამდენიმე პრობლემას ერთდროულად მოაგვარებთ. **ქალწული** – შეცდომების აღიარება და გამოსწორება არ გაგიჭირდებათ. მთავარია, მოინდომოთ. **სასწორი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დროებითი სიძნელეები შეგხვდებათ, თუმცა მათ თავს საკმაოდ იოლად გაართმევთ. **მშვილდოსანი** – კარგი იქნება, თუ განმარტოვდებით და თავს მოდუნების უფლებას მისცემთ. კონტაქტები მაქსიმალურად შეამცირეთ. **თხის რქა** – ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. სიხარულს მოგანიჭებთ ბავშვებთან ურთიერთობა. **მერწყული** – დღეს შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. კამათში ნუ ჩაერევით. მხოლოდ საკუთარი საქმით დაკავდით. **თევზები** – ყოველგვარი სიახლე გაამართლებს. ეს ეხება როგორც საყიდლებზე წასვლას, ისე ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ლუდის გამონახარში, დანალექი; 2. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 3. პოეტი-მომღერალი მუსლიმანურ ქვეყნებში; 4. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 5. არქიტექტურული პროექტის, ნახატის წინასწარი მონახაზი; 6. საახალწლო ტკბილეული; 8. რაიმეს თანდათანობითი დაქვეითება, გაუარესება; 10. მარტივი, უმოტორო საფრენი აპარატი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 14. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი; 16. ფარისეველი, ფლიდი ადამიანი.

**თარაზულად:** 1. მშრალად მოხარშული საქონლის ან ცხვრის ხორცისგან დამზადებული კახური კერძი; 4. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შემქმნელი; 7. აზროვნების ორგანო; 9. ორელექტროდიანი, ელექტროვაკუუმური ნათურა; 12. ქართველი მეცნიერი, ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი; 13. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 14. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 18. გეომეტრიის ნაწილი; 19. საარტილერიო ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 20. მთვარიანი ღამე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

